პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 24 ივნისი, 1947 წ. № 125 (7909). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

გმირი და შემოქმედი დიდი საბჭოთა ხალხი — „პრავდის“ მოწინავე (1-ლი გვერდი).
საქდესის ცნობა (1-ლი გვერდი).
საინფორმაციო ცნობა რსფსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების შესახებ (1-ლი და მე-2 გვერდი).
დ. მელნიკოვი — მიწის რეფორმის შესახებ გერმანიაში (მე-2 გვერდი).
პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საქართველოს სსრ საზოგადოება (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება—არბოშიკელი კომუნისტები (მე-3 გვერდი).
დავრაზმოთ მთელი ძალები მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის (მე-3 გვერდი).
კ. ზუბოვი — თანამედროვეთა სახეები რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

გმირი და შემოქმედი დიდი საბჭოთა ხალხი

საბჭოთა ადამიანები არასოდეს არ დაივიწყებენ 1941 წლის 22 ივნისის დილას. გარიჟრაჟზე გერმანიის თვითმფრინავები ბომბავდნენ კიევს, სევასტოპოლს, კაუნასსა და სხვა ქალაქებს. თავით ფეხამდე შეიარაღებული გერმანელთა 170 დივიზია შემოესია ჩვენს მიწა-წყალს. გერმანიას ომი არ გამოუცხადებია საბჭოთა კავშირისათვის, არ წარუდგენია მისთვის რაიმე პრეტენზია. იგი თავს დაგვესხა მუხანათურად, ავაზაკურად, ქურდულად.

ჰიტლერელებს იმედი ჰქონდათ, რომ თავდასხმის უეცრობა დაასუსტებდა, გასტეხდა საბჭოთა არმიისა და საბჭოთა ხალხის მორალურ ძალებს, დაუკარგავდა მათ ნებისყოფას სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლისადმი. ეს ვარაუდი საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდა ჰიტლერული გერმანიისათვის! უეცარმა თავდასხმამ არა თუ დაასუსტა, არამედ, პირიქით, უფრო განამტკიცა მუშათა და გლეხთა კავშირი, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა და ძმობა. მთელი საბჭოთა ქვეყანა ერთიან სამხედრო ბანაკად გადაიქცა, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის გარშემო, დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის გარშემო. მთელი თავისი სიდიადით წარმოსდგა მსოფლიოს წინაშე საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელი ძალა. ფრონტისა და ზურგის ასეთი ერთიანობა, სამშობლოს დასაცავად, მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად ხალხის მთელი ძალების, ქვეყნის მთელი მატერიალური რესურსების ასეთი მობილიზაცია დღემდე არ მომხდარა კაცობრიობის ისტორიაში. მთელი ჩვენი ქვეყანა დაირაზმა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომისათვის — სამართლიანი, განმათავისუფლებელი ანტიფაშისტური ომისათვის.

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ, სოციალისტურმა წყობილებამ უძლეველი ძალა მიანიჭა საბჭოთა ხალხსა და მის არმიას. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ბრძნულმა და შორსმჭვრეტელმა სტალინურმა პოლიტიკამ შექმნა ჩვენი სამშობლოს აქტიური თავდაცვისათვის საჭირო მატერიალური შესაძლებლობანი. როცა დაჰკრა სამხედრო განსაცდელის ჟამმა, როცა დიდმა სტალინმა მოგვიწოდა: ხალხის მთელი ძალები მტრის განადგურებას მოვახმაროთო—პარტიამ შესძლო უდიდესი წარმატებით გამოეყენებინა ეს მატერიალური შესაძლებლობანი, რათა ულევსად ფართოდ გაეშალა სამხედრო წარმოება და უზრუნველეყო საბჭოთა არმია ყოველივე იმით, რაც საჭიროა თანამედროვე ომის საწარმოებლად. პარტიამ გააერთიანა და ერთიანი მიზნისაკენ წარმართა საბჭოთა ხალხის — მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის მთელი ღონისძიებანი. ლენინ-სტალინის პარტიის მიერ შთაგონებულ ფრონტსა და ზურგს ერთი ფიქრი, ერთი საზრუნავი ჰქონდათ. „ისევე როგორც წითელმა არმიამ ხანგრძლივ და მძიმე ორთაბრძოლაში სამხედრო გამარჯვება მოიპოვა ფაშისტთა ჯარებზე, საბჭოთა ზურგის მშრომელებმა ჰიტლერულ გერმანიასა და მის თანამონაწილეებთან ორთაბრძოლაში ეკონომიური გამარჯვება მოიპოვეს მტერზე“ (სტალინი).

მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერულმა სარდლობამ ისარგებლა სამი წლის მანძილზე ევროპაში მეორე ფრონტის არარსებობით და საბჭოთა კავშირგერმანიის ფრონტზე მთელი თავისი რეზერვები გამოიყვანა, თავი მოუყარა იქ 240 დივიზიას—ერთიორად მეტს, ვიდრე პირველი მსოფლიო ომის პერიოდში,—საბჭოთა არმიამ დაამარცხა და მოსპო მტრის ძირითადი ძალები. მოსკოვსა და სტალინგრადთან, კურსკსა და კიევთან, ლენინგრადსა და მინსკთან, იასსა და ლვოვთან, ბალტიისპირეთში და დუნაიზე, ვისლასა და ნემანზე, თავისი ბრწყინვალე გამარჯვებებით საბჭოთა არმიამ თავი გამოიჩინა, როგორც პირველხარისხოვანმა არმიამ, ცხადჰყო თავისი მებრძოლთა და მეთაურთა ოსტატობა, თავისი სტრატეგიისა და ტაქტიკის უნაკლობა. ომის მესამე წლის დამლევს შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ საბჭოთა კავშირს შეეძლო საკუთარი ძალებით, მოკავშირეთა დაუხმარებლად მოეხდინა მთელი გერმანიის ოკუპაცია და გაეთავისუფლებინა საფრანგეთი. სწორედ ამ გარემოებამ აიძულა ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი, რომელიც მანამდე ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის წინააღმდეგი იყო, დაეწყო ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრა. ამაოდ ცდილობს ახლა უცხოეთის პრესის ზოგიერთი ორგანო საქმე ისე დასახოს, თითქოს მეორე ფრონტმა იხსნა საბჭოთა კავშირი. ეს აშკარად უვარგის საშუალებათა გამოყენების ცდაა! საქმის ვითარება სწორედ ამის საწინააღმდეგოა — საბჭოთა კავშირმა და მისმა გმირმა არმიამ იხსნეს მსოფლიო ცივილიზაცია, იხსნეს კაცობრიობა, უზრუნველჰყვეს ევროპაში მოკავშირეთა შეჭრის წარმატება და მეორე მსოფლიო ომის ძლევამოსილად დამთავრება.

ჰიტლერულ გერმანიაზე ჩვენი სამშობლოს გამარჯვება არის საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების გამარჯვება, საბჭოთა არმიის გამარჯვება, ბოლშევიკური პარტიის სტალინური პოლიტიკის, სტალინური პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი და სამხედრო ხელმძღვანელობის ზეიმი. „ეს ჩვენი ბედნიერება იყო, რომ ომის მძიმე წლებში წითელ არმიას და საბჭოთა ხალხს წინ მიუძღოდა საბჭოთა კავშირის ბრძენი და ნაცადი ბელადი—დიდი სტალინი. გენერალისიმუს სტალინის სახელით ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და მსოფლიო ისტორიაში შევა ჩვენი არმიის სახელოვანი გამარჯვებანი“. (მოლოტოვი).

1941 წლის 22 ივნისს დილით ომი გრიგალივით შემოიჭრა საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში და მთელი ჩვენი ქვეყანა სამარ ყაიდაზე გარდაგვაქმნევინა. 1947 წლის 22 ივნისის დილა—ისეთსავე ნათელ ზაფხულის დილა—ვეგებებით დაძაბულ შემოქმედებით მშვიდობიან შრომაში ჩაბმულნი. ეს დილა ჩვეულებრივი და ამასთან გმირული შრომითი დღის დილაა. მჩქეფარე, სისხლსავსე სიცოცხლით ცხოვრობენ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, შახტები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამეცნიერო დაწესებულებანი. ჩვენი ქვეყანა წარმატებით იშუშებს ომით მიყენებულ ჭრილობებს, აღადგენს მტრის მიერ დანგრეულ საწარმოებს, ქალაქებს, სოფლებს, უფრო და უფრო წინ მიჰყავს თავისი ეკონომიკა, მეცნიერება, ტექნიკა, კულტურა. ოქტომბრის 30-ე წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებული სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ცხადჰყოფს, რომ ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ძალები აურაცხელია, რომ რეზერვები, რომლებიც გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის განკარგულებაში მოიპოვება, უდიდესია, რომ საბჭოთა ადამიანებს უნარი შესწევთ, თავიანთი შრომით, ორგანიზებულობით გადალახონ ყოველი სიძნელე, რაც მათ გზაზე ეღობება.

მოხსენება რსფსრ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, რომელიც დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება, ერთ-ერთი მკაფიო ილუსტრაციაა ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის ომისშემდგომი წარმატებებისა, ჩვენი ხალხის, რომლისთვისაც ომისშემდგომი ხუთწლედი მშობლიური და საარსებო საქმე გახდა. ეს წარმატებანი მოწმობენ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას. გაქარწყლდა და გაცამტვერდა საერთაშორისო რეაქციის იმედი—დაენახა საბჭოთა კავშირი ომის შედეგად დაუძლურებული და დასუსტებული. ზოგიერთი ვინმე რეაქციული პრესის ბანაკიდან ახლაც ცდილობს ილაპარაკოს სსრ კავშირის ვითომდა სისუსტის შესახებ. მაგრამ ეს ვაჟბატონები თავს იტყუებენ, როცა სასურველი არსებულად მიაჩნიათ! ჩვენ არ ვმალავთ, რომ ომმა საკმაოდ ბევრი სერიოზული სიძნელე წარმოშვა, მაგრამ სწორედ სიძნელეებთან ბრძოლაში, მათს წარმატებით დაძლევაში იჩენს თავს საბჭოთა ხალხის, გმირი ხალხის, შემოქმედი ხალხის დიადი და უძლეველი სასიცოცხლო ძალა.

სამამულო ომში ჩვენი სამშობლოს ისტორიული გამარჯვება, ომისშემდგომ მშვიდობიან მშენებლობაში მიღწეული წარმატებანი, ის თვალსაჩინო როლი, რომელსაც საბჭოთა კავშირი მტკიცე დემოკრატიული მშვიდობისათვის ბრძოლაში ასრულებს, ყოველი ჩვენგანის გულში ბუნებრივსა და კანონიერ საბჭოთა ეროვნულ სიამაყეს იწვევს. მსოფლიოს ვერც ერთი სხვა ქვეყანა ვერ გაუძლებდა ასეთ მძიმე და ულმობელ ომს, როგორიც ჩვენმა სამშობლომ გადაიტანა. უფრო მეტიც, ყოველი სხვა ქვეყანა, მას რომ მთელი ის ზარალი და მსხვერპლი განეცადა, რაც საბჭოთა კავშირს ხვდა წილად, თავის განვითარებაში ათეული წლებით უკუგდებული აღმოჩნდებოდა, მეორეხარისხოვანი სახელმწიფოს დონემდე ჩამოქვეითდებოდა. ყოველი საბჭოთა პატრიოტი ამაყობს, რომ იგი მოქალაქეა მძლავრი საბჭოთა კავშირისა, მოქალაქეა სოციალიზმის დიდი და სახელოვანი ქვეყნისა, რომელმაც მთელი მოწინავე კაცობრიობის პატივისცემა მოიხვეჭა და მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადჰყო თავისი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ისტორიული უპირატესობა.

თავისი შემოქმედებითი შრომით გართული საბჭოთა კავშირი გამსჭვალულია მისწრაფებით მშვიდობიანად და საქმიანად, ეკონომიურ სისტემათა განსხვავების მიუხედავად, ითანამშრომლოს ყველა ქვეყანასთან, რომელსაც ასევე გულწრფელად და საქმიანად სურს ითანამშრომლოს ჩვენს ქვეყანასთან. მაგრამ ამავე დროს, დინჯი და დარწმუნებული თავის ძალებსა და იმ ხალხთა ძალებში, რომელთაც მტკიცე და დემოკრატიული მშვიდობა სწყურიათ, იგი ფხიზლად ადევნებს თვალყურს ახალი ომის გამჩაღებელთა ოინებსა და პროვოკაციებს. რაც შეეხება ომის გამჩაღებელთ, დაე დღევანდელმა თარიღმა—დიდი სამამულო ომის დაწყების მეექვსე წლისთავმა — კვლავ და კვლავ მოაგონოს მათ, რით თავდება საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ცდები.

ჩვენი გმირი ხალხისათვის უცხოა თავისი გამარჯვებებით გაბრუება. მას არ უყვარს და არ სჩვევია განცხრომა, ვერ იტანს უძრაობას თავისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, მეცნიერულ აღმოჩენებსა და ტექნიკურ პროგრესში. საბჭოთა ადამიანები თავდადებულად იბრძვიან ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ომის მძიმე შედეგთა უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის, თავისი საარსებო დონის ამაღლებისათვის, ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის. ბოლშევიკების პარტია, დიდი მასწავლებელი და ბელადი ამხანაგი სტალინი წარმართავენ მილიონობით მუშის, გლეხის, ინტელიგენციის — ახალი ცხოვრების გმირთა და შემოქმედთა ყოველდღიურ შრომას, მიჰყავთ ისინი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე.

„პრავდის“ 22/VI მოწინავე.

საბჭოთა კავშირში

კრება ისტორიულ დარბაზში

საბჭოების პირველ ყრილობაზე ვ. ი. ლენინის გამოსვლის 30 წლისთავის გამო

ლენინგრადი, 18 ივნისი. (საქდესი). 30 წლის წინათ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის პირველი ყრილობის სხდომაზე, რომელიც ენგელსის სახელობის ახლანდელი სამხედრო-პოლიტიკური სასწავლებლის დარბაზში სწარმოებდა, სიტყვით გამოვიდა ვ. ი. ლენინი.

გუშინ ამ დარბაზში შესდგა სასწავლებლის პირადი შემადგენლობის კრება, მიძღვნილი დიდი ბელადის ისტორიული გამოსვლისადმი. კრებაზე მოწვეული იყვნენ ძველი ბოლშევიკები, რომლებიც შეხვედრიან ვლადიმერ ილიას-ძეს.

პოდპოლკოვნიკმა ამხ. ლანკომ წაიკითხა მოხსენება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის პირველი ყრილობის მნიშვნელობის შესახებ.

შემდეგ სიტყვა მიეცა ძველ პიტერელ მუშას, პარტიის წევრს 1912 წლიდან, ამხ. ტრავნიკოვს, რომელიც ყრილობის ისტორიულ სხდომას დაესწრო როგორც სტუმარი.

იმ დიდი შთაბეჭდილების შესახებ, რაც მუშებზე და ფრონტელ ჯარისკაცებზე ვლადიმერ ილიას-ძის სიტყვამ მოახდინა, დაწვრილებით უამბო ამხ. სერგეევამ, რომელიც ყრილობის ტექნიკური აპარატის მუშაობაში მონაწილეობდა.

პეტროგრადში თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებს შორის განვლილ პერიოდში ლენინთან შეხვედრების შესახებ, ბოლშევიკების საქალაქო აქტივის კრებაზე მისი გამოსვლის შესახებ მოგონებით გამოვიდა პარტიის ძველი წევრი ამხ. ლემეშევი.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ლენინის საქმის დიდი განმგრძობის — ამხანაგ სტალინისადმი.

150 ფუთი მარცვლეული ჰექტარზე

მაიკოპი, 23 ივნისი. (საქდესი). ადიღეს მიწის მუშებმა საშემოდგომო კულტურების კარგი მოსავალი მოიყვანეს. ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები 100 ფუთ ქერს იღებენ ჰექტარზე. ტახტამუკაის რაიონის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელი თვითეულ ჰექტარზე 150 ფუთ მარცვლეულს იღებს. გიაგინსკაიას რაიონის სტალინის სახელობის, „კრასნოე ზნამიას“ კოლმეურნეობები — 115-130 ფუთს. კომბაინერებმა ამხ. ტერნოვოიმ და ბოჟკომ, რომლებიც კოლმეურნეობა „ტრუდის“ ყანებში მუშაობენ, ჰექტარზე 140 ფუთ მარცვლეულს იღებენ. გიაგინსკაიას, შოვგენისა და ტევუჩეჟის რაიონებში საშემოდგომო ქერის 100-ფუთიან მოსავალს იღებს კოლმეურნეობათა დიდი უმრავლესობა.

მწიფდება საშემოდგომო ხორბალი, რომელიც აგრეთვე უხვ მოსავალს მოგვცემს.

8 თვის გეგმა — ნახევარ წელიწადში

ვოროშილოვგრადი, 19 ივნისი. (საქდესი). ტრესტ „კრასნოარმეისკუგოლის“ № 26 შახტის (უფროსი ამხ. ტიში) კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ქვანახშირის ამოღების ნახევარი წლის გეგმა და ახალი წარმატება მოიპოვა. ამოღებულია ქვანახშირის უკანასკნელი ტონები რვა თვის პროგრამის ანგარიშში.

საინფორმაციო ცნობა

რსფსრ უმაღლესი საბჭოს 1947 წლის 21 ივნისის სხდომის შესახებ

21 ივნისს, საღამოს 6 საათზე, კრემლში კრემლის დიდ სასახლეში შესდგა რსფსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სხდომა.

თავმჯდომარეობს რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **მ. პ. ტარასოვი.**

რსფსრ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ვ. ი. პროხვატილოვის** მოხსენება რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შესახებ.

ამხ. პროხვატილოვი აქვეყნებს სამანდატო კომისიის დადგენილებას რსფსრ უმაღლეს საბჭოში 752 საარჩევნო ოლქიდან არჩეული დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგის შესახებ:

„უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიამ შეამოწმა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი მთელი საარჩევნო დოკუმენტები და მასალები თვითეულ დეპუტატზე ცალ-ცალკე და ადგენს:

1. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები 752-ვე საარჩევნო ოლქში ჩატარებულია რსფსრ კონსტიტუციის და რსფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საფუძველზე და მათი სრული შესაბამისობით.

2. არ არსებობს არავითარი საფუძველი რომელიმე საარჩევნო ოლქში არჩევნების გასაჩივრებისათვის, აგრეთვე არავითარი საჩივარი და განცხადება, რომ რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისას დარღვეული იყოს კონსტიტუცია და არჩევნების დებულება როგორც საარჩევნო ოლქებში, ისე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე რსფსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისია სცნობს, რომ სწორია რწმუნებანი რსფსრ უმაღლესი საბჭოს ყველა დეპუტატისა, რომლებიც რეგისტრირებული არიან ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ და რომელთა სია გამოქვეყნებულია 1947 წლის 12 თებერვლის № 37 გაზეთ „იზვესტიაში“.

უმაღლესმა საბჭომ დეპუტატ **ნ. ნ. დანილოვის** წინადადებით შემდეგი დადგენილება მიიღო სამანდატო კომისიის მოხსენების გამო:

„რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენება.

2. ცნობილ იქნას სწორად რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის იმ დეპუტატთა რწმუნებანი, რომლებიც არჩეული არიან 752-ვე საარჩევნო ოლქში და რეგისტრირებული არიან რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ.

3. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა დამთავრებულად ჩაითვალოს“.

შემდეგ უმაღლესი საბჭო გადავიდა რსფსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიათა არჩევის საკითხის განხილვაზე.

დეპუტატ **ნ. ი. სვეტლაკოვის** წინადადებით, რომელიც გამოვიდა ქალაქ მოსკოვის, კიროვის, ჩელიაბინსკის, ტამბოვისა და ივანოვოს ოლქების და ჩუვაშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დეპუტატთა ჯგუფის სახელით, რსფსრ უმაღლესი საბჭო ირჩევს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიას 15 კაცის შემადგენლობით:

1. კომისიის თავმჯდომარე **იონა ტიმოთეს-ძე ნიკიტჩენკო**—დეპუტატი ნოვოსიბირსკის ოლქის ტატარსკის საარჩევნო ოლქისაგან.

კომისიის წევრები:

2. **ილარიონ ათანასეს-ძე აფანასიევი**—დეპუტატი ორიოლის ოლქის ილეცის საქალაქო საარჩევნო ოლქისაგან.

3. **ივანე ივანეს-ძე ბასკაკოვი**—დეპუტატი ნოვგოროდის ოლქის ოკულოვკის საარჩევნო ოლქისაგან.

4. **ივანე ემელიანეს-ძე ბერეზინი** — დეპუტატი როსტოვის ოლქის სალსკის საარჩევნო ოლქისაგან.

5. **ალექსანდრე მიხეილის-ძე გერასიმოვი**—დეპუტატი ტამბოვის ოლქის უვაროვის საარჩევნო ოლქისაგან.

6. **თევდორე ნიკიტას-ძე დადონოვი**—დეპუტატი ჩელიაბინსკის ოლქის მინიარის საარჩევნო ოლქისაგან.

7. **სერგი ანდრიას-ძე ჟოლნინი**—დეპუტატი ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქისაგან.

8. **კლავდია ანდრიას-ასული ზიმინა**—დეპუტატი ქალაქ ლენინგრადის სუვოროვის საარჩევნო ოლქისაგან.

9. **ივანე სტეფანეს-ძე კუზნეცოვი**—დეპუტატი კოსტრომის ოლქის გალიჩის საარჩევნო ოლქისაგან.

10. **ვასილ ივანეს-ძე ნიკანოროვი**—დეპუტატი ყირიმის ოლქის ჯანკოის საარჩევნო ოლქისაგან.

11. **გრიგოლ ნიკოლოზის-ძე საფონოვი**—დეპუტატი უდმურტეთის ასსრ მოჟგის საარჩევნო ოლქისაგან.

12. **პეტრე მიხეილის-ძე სიდოროვი**—დეპუტატი ველიკიე ლუკის ოლქის ნოვოსოკოლნიკის საარჩევნო ოლქისაგან.

13. **ვსევოლოდ ალექსანდრეს-ძე სოტნიკოვი**—დეპუტატი სარატოვის ოლქის პუგაჩოვის საარჩევნო ოლქისაგან.

14. **ხალილ მაჰომედის-ძე ფატალიევი**—დეპუტატი დაღისტნის ასსრ ბუინაკსკის საარჩევნო ოლქისაგან.

15. **ვერა სიმონის-ასული ცვეტკოვა**—დეპუტატი ივანოვოს ოლქის ფურმანოვის საარჩევნო ოლქისაგან.

დეპუტატ **ა. ფ. რიაზანოვის** წინადადებით, რომელიც გამოვიდა მოსკოვის, ლენინგრადის, რიაზანის, ფსკოვის, კურსკისა და სმოლენსკის ოლქების დეპუტატთა ჯგუფის სახელით, რსფსრ უმაღლესი საბჭო ირჩევს რსფსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიას 19 კაცის შემადგენლობით.

1. კომისიის თავმჯდომარე **პავლე გრიგოლის-ძე ბურილიჩევი**—დეპუტატი მოსკოვის ოლქის პუშკინის საარჩევნო ოლქისაგან.

კომისიის წევრები:

2. **ალექსანდრე ზაქარიას-ძე ანდრეევი**—დეპუტატი რიაზანის ოლქის რიაზანის საქალაქო საარჩევნო ოლქისაგან.

3. **ვასილ ანდრიას-ძე ბორისოვი**—დეპუტატი კალინინგრადის ოლქის ჩერნიახოვსკის საარჩევნო ოლქისაგან.

4. **სერგი მიხეილის-ძე ბუტუზოვი**—დეპუტატი კრასნოიარსკის მხარის კრასნოიარსკის სტალინის საარჩევნო ოლქისაგან.

5. **ნიკოლოზ ვასილის-ძე გოლუბევი**—დეპუტატი კურსკის ოლქის კასტორნოეს საარჩევნო ოლქისაგან.

6. **ალექსი ანდრიას-ძე ეგოროვი**—დეპუტატი კრასნოდარის მხარის ლაბინსკის საარჩევნო ოლქისაგან.

7. **ნიკოლოზ ვასილის-ძე ჟილცოვი**—დეპუტატი გორკის ოლქის არზამასის საარჩევნო ოლქისაგან.

8. **ივანე ანდრიას-ძე კაიროვი**—დეპუტატი კუიბიშევის ოლქის პოხვისტნევოს საარჩევნო ოლქისაგან.

9. **სერგი ტროფიმეს-ძე კოროტკოვი**—დეპუტატი ფსკოვის ოლქის სტრუგოკრასნიეს საარჩევნო ოლქისაგან.

10. **ალექსანდრე ვასილის-ძე კრილოვი**—დეპუტატი ვორონეჟის ოლქის ბუტურლინოვკის საარჩევნო ოლქისაგან.

11. **ვასილ ივანეს-ძე კუპერტი**—დეპუტატი ტომსკის ოლქის კოლპაშევოს საარჩევნო ოლქისაგან.

12. **ივანე მიხეილის-ძე ორლოვი**—დეპუტატი პენზის ოლქის ნიჟნი ლომოვის საარჩევნო ოლქისაგან.

13. **ვასილ თევდორეს-ძე პოპოვი**—დეპუტატი თათრეთის ასსრ მამადიშის საარჩევნო ოლქისაგან.

14. **ნიკოლოზ ივანეს-ძე სვეტლაკოვი**—დეპუტატი კიროვის ოლქის კიროვის მოლოტოვის საარჩევნო ოლქისაგან.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საქდესის ცნობა

საბჭოთა მთავრობის პასუხი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა წარდგინებაზე ბ-ნ მარშალის განცხადებასთან დაკავშირებით

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 19 ივნისს ბრიტანეთის ელჩმა მოსკოვში ბ-ნმა პეტერსონმა და საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულმა სსრ კავშირში ბ-ნმა შარპანტიემ საბჭოთა მთავრობას გადასცეს ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა ნოტები, რომლებითაც იწვევენ მას მონაწილეობა მიიღოს საგარეო საქმეთა სამი მინისტრის თათბირში ევროპის ქვეყნებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების საკითხებზე.

ამასთან დაკავშირებით 22 ივნისს საბჭოთა მთავრობამ შემდეგი ნოტა გაუგზავნა საფრანგეთის მთავრობას:

„საბჭოთა მთავრობა გაეცნო საფრანგეთის მთავრობის 19 ივნისის ნოტას ევროპის ეკონომიური პროგრამის შედგენის შესახებ ბ-ნ მარშალის მიერ 5 ივნისს ჰარვარდის უნივერსიტეტში გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, რაც იყო საგანი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ორმხრივი მოლაპარაკებისა პარიზში.

საბჭოთა მთავრობა თანახმაა, რომ ევროპის ქვეყნების პირველი რიგის ამოცანას ამჟამად წარმოადგენს ომით დარღვეული მათი ეროვნული ეკონომიკის რაც შეიძლება მალე აღდგენა და შემდგომი განვითარება. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ ამოცანის შესრულება შეიძლებოდა გაადვილებული ყოფილიყო, თუ ამერიკის შეერთებული შტატები, რომლების საწარმოო შესაძლებლობანი ომის პერიოდში არა თუ შემცირდა, არამედ გადიდდა, გაუწევდნენ ზემოაღნიშნული მიზნების შესაბამის დახმარებას.

თუმცა საბჭოთა მთავრობას ამჟამად არ მოეპოვება მასალები შეერთებული შტატების მხრივ ევროპის ქვეყნებისათვის შესაძლო ეკონომიური დახმარების ხასიათისა და პირობების, აგრეთვე იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც შეადგენდნენ საფრანგეთისა და ბრიტანეთის მთავრობათა მსჯელობის საგანს პარიზში ამას წინათ წარმოებული მოლაპარაკების დროს — საბჭოთა მთავრობა მაინც იღებს საფრანგეთისა და ბრიტანეთის მთავრობათა წინადადებას და თანახმაა მონაწილეობა მიიღოს საგარეო საქმეთა სამი მინისტრის თათბირში.

საბჭოთა მთავრობის აზრით, ასეთი თათბირი შეიძლება შესდგეს პარიზში 27 ივნისს“.

იდენტური ნოტა გაეგზავნა ბრიტანეთის მთავრობას.

საქდესი უარჰყოფს

ამ დღეებში გაზეთმა „პოპულერმა“, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა ორგანომ, ცნობა გამოაქვეყნა, თითქოს მადრიდში დაიწყო მოლაპარაკება საბჭოთა კავშირესპანეთის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. ამ ახირებული ცნობისათვის სიმართლის მეტი მსგავსების მისაცემად გაზეთი ასახელებს ესპანეთის წარმომადგენელს, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს, და აღნიშნავს, რომ „საბჭოთა კავშირის რწმუნებული“ უკვე რამდენჯერმე შეხვდა ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს.

„პოპულერის“ მონაჭორი მალე გადაბეჭდა პრაღის გაზეთმა „ლიდოვა დემოკრაციემ“.

საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ გაზეთ „პოპულერის“ აღნიშნული ცნობა ბოროტი პროვოკაციული მონაჭორია, რაც ნავარაუდევია გულუბრყვილოთა დასაჯერებლად, რომელთა შორის აღმოჩნდა ჩეხური გაზეთის „ლიდოვა დემოკრაციეს“ რედაქცია.

საინფორმაციო ცნობა
რსფსრ უმაღლესი საბჭოს 1947 წლის 21 ივნისის სხდომის შესახებ
(დასასრული)

15. ვიაჩესლავ იაკობის-ძე სპოროვი—დეპუტატი ტამბოვის ოლქის ტამბოვის სასოფლო საარჩევნო ოლქისაგან.

16. ალექსანდრე პავლეს-ძე სტაროტორჟსკი—დეპუტატი ბრიანსკის ოლქის კლინცის საარჩევნო ოლქისაგან.

17. ვლადიმერ პავლეს-ძე ფრონტასიევი — დეპუტატი სმოლენსკის ოლქის იარცევოს საარჩევნო ოლქისაგან.

18. ილია სტეფანეს-ძე ხარიტონოვი—დეპუტატი ლენინგრადის ოლქის ლუგის საარჩევნო ოლქისაგან.

19. ივანე ანდრიას-ძე შალკოვი—დეპუტატი ტულის ოლქის პლავსკის საარჩევნო ოლქისაგან.

დეპუტატ მ. ნ. ნიკიტინის წინადადებით, რომელიც გამოვიდა ლენინგრადის, ნოვოსიბირსკის, ჩკალოვის, კუიბიშევის, ყირიმის, კურსკის ოლქებისა და ზღვისპირეთის მხარის დეპუტატთა ჯგუფის სახელით, რსფსრ უმაღლესი საბჭო ირჩევს საგარეო საქმეთა კომისიას 9 კაცის შემადგენლობით.

1. კომისიის თავმჯდომარე ლეონიდე თევდორეს-ძე ილიჩევი—დეპუტატი ჩკალოვის ოლქის პოკროვსკის საარჩევნო ოლქისაგან.

კომისიის წევრები:

2. მიხეილ ვასილის-ძე ბახოვი—დეპუტატი ქალაქ ლენინგრადის ზღვისპირის საარჩევნო ოლქისაგან.

3. ვიაჩესლავ პეტრეს-ძე ვოლგინი—დეპუტატი სტავროპოლის მხარის პეტროვსკის საარჩევნო ოლქისაგან.

4. სერგი იაკობის-ძე კირეევი—დეპუტატი ქალაქ გორკის სტალინის საარჩევნო ოლქისაგან.

5. ნინო ვასილის ასული პოპოვა— დეპუტატი ქალაქ კუიბიშევის ძერჟინსკის საარჩევნო ოლქისაგან.

6. პეტრე იანუარის-ძე სელეზნევი—დეპუტატი კრასნოდარის მხარის ბელორეჩენსკის საარჩევნო ოლქისაგან.

7. ალექსი ალექსანდრეს-ძე სურკოვი—დეპუტატი კურსკის ოლქის რაკიტიანსკის საარჩევნო ოლქისაგან.

8. სერგი საველის-ძე შატილოვი—დეპუტატი პენზის ოლქის კუზნეცკის საარჩევნო ოლქისაგან.

9. მიხეილ ალექსის-ძე იასნოვი—დეპუტატი ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქისაგან.

შემდეგ თავმჯდომარე რსფსრ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებისა და რსფსრ 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს რსფსრ ფინანსთა მინისტრს დეპუტატ ა. მ. საფრონოვს.

ამხ. საფრონოვის მოხსენების შემდეგ რსფსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სხდომა დაიხურა.

საინფორმაციო ცნობა
რსფსრ უმაღლესი საბჭოს 1947 წლის 23 ივნისის სხდომის შესახებ

23 ივნისს, დილის 11 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში, შესდგა რსფსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობს რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი მ. პ. ტარასოვი.

დღის წესრიგშია განხილვა რსფსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ა. მ. საფრონოვის მოხსენებისა რსფსრ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და რსფსრ 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი პ. ვ. აბრამოვი (ტაგანსკის საარჩევნო ოლქი, ქ. მოსკოვი), დეპუტატი ა. პ. ბოჩკარიოვი (კლიავლინოს საარჩევნო ოლქი, კუიბიშევის ოლქი), დეპუტატი ი. ვ. ზაიკინი (მიასის საარჩევნო ოლქი, ჩელიაბინსკის ოლქი), დეპუტატი მ. ვ. ბახოვი (ზღვისპირის საარჩევნო ოლქი, ქ. ლენინგრადი), დეპუტატი ი. ა. შალკოვი (პლავსკის საარჩევნო ოლქი, ტულის ოლქი), დეპუტატი გ. ა. დინმუხამეტოვი (ბუგულმის საარჩევნო ოლქი, თათრეთის ასსრ), დეპუტატი ვ. ნ. ნეკლიუდოვი (ულიანოვსკის საქალაქო საარჩევნო ოლქი, ულიანოვსკის ოლქი), დეპუტატი ა. ნ. რუკავიცინა (ტულუნის საარჩევნო ოლქი, ირკუტსკის ოლქი), დეპუტატი ს. ი. კირეევი (სტალინის საარჩევნო ოლქი, ქ. გორკი), დეპუტატი ა. მ. ბატამიროვი (კამენის საარჩევნო ოლქი, ალტაის მხარე), ამხ. ა. ვ. კურტოვი — მშრომელთა დეპუტატების კოსტრომის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

ამით დაიხურა რსფსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სხდომა.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საქართველოს სსრ საზოგადოება

ჩამოყალიბდა პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გამავრცელებელი საქართველოს სსრ საზოგადოება, შეიქმნა მისი საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის თავმჯდომარეობით.

საორგანიზაციო კომიტეტი უკვე შეუდგა საზოგადოების წევრ-დამფუძნებლებისა და ნამდვილი წევრების გაფორმებას, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის მიერ საამისოდ მიღებული პირობებისა და წესების თანახმად, რომლებიც ქვემოთ იბეჭდება.

განცხადებანი პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საქართველოს სსრ საზოგადოების წევრობის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

ქალაქი თბილისი, ძერჟინსკის ქუჩა 8, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სამდივნო, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საქართველოს სსრ საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტი.

პირობები და წესები
პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების წევრ-დამფუძნებლებად და ნამდვილ წევრებად მიღებისა

საზოგადოების წევრ-დამფუძნებლებად შეიძლება იყვნენ სამეცნიერო, კულტურული, საზოგადოებრივი, კოოპერაციული ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომელნიც დაინტერესებულნი არიან საზოგადოების საქმიანობის განვითარებით.

საზოგადოების ნამდვილ წევრებად შეიძლება იყვნენ მეცნიერნი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამხედრო მოღვაწენი, პედაგოგები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, რომელთაც სურთ საზოგადოების სალექციო მუშაობაში პირადი აქტიური მონაწილეობით ხელი შეუწყონ სსრ კავშირის მოსახლეობაში პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების საქმეს. საზოგადოების ნამდვილ წევრად მიღებისათვის საჭიროა სამეცნიერო ან საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის რეკომენდაცია, ან და რეკომენდაცია საზოგადოების ორი ნამდვილი წევრისა.

საზოგადოების წევრ-დამფუძნებლებად და ნამდვილ წევრებად მიღებას აწარმოებს საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტი წერილობითი განცხადებებით.

წევრმა-დამფუძნებლებმა და ნამდვილმა წევრებმა საზოგადოებაში მიღებისას უნდა შეიტანონ შესავლელი გადასახადი; წევრმა-დამფუძნებლებმა—10 ათასი მანეთი, ნამდვილმა წევრებმა—100 მანეთი.

ეს პირობები მოქმედებს საზოგადოების წესდების დამტკიცებამდე.

განცხადებები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: მოსკოვი, როჟდესტვენკა, 11, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტი.

ქალაქებში — კიევში, მინსკში, რიგაში, ტალინში, ვილნიუსში, კიშინიოვში, ბაქოში, თბილისში, ერევანში, ტაშკენტში, სტალინაბადში, აშხაბადში, პეტროზავოდსკში, ფრუნზეში, ალმა-ატაში, ლენინგრადში, სვერდლოვსკში, ყაზანში, ნოვოსიბირსკში განცხადებანი შეიძლება გაეგზავნოს საზოგადოების რესპუბლიკურსა და საოლქო საორგანიზაციო კომიტეტებს.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტი

ჩაის ფოთლის კრეფა

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 20 ივნისისათვის მოკრეფილია 12.653,1 ტონა ჩაის ფოთოლი, თვიური გეგმა შესრულებულია 69,8 პროცენტით, წლიური კი 42,2 პროცენტით. ივნისის მარტო მეოთხე ხუთდღიურში მოკრეფილია 743,4 ტონა ჩაის ფოთოლი.

ჩაის ფოთლის კრეფის ივნისის გეგმა ვადამდე შეასრულა აბაშის რაიონმა. ქუთაისის რაიონში ივნისის გეგმა 98,7 პროცენტით არის შესრულებული, ქობულეთის რაიონში —90,2, ბათუმის—54, გალის—64,5, ოჩამჩირის—52,3, გულრიფშის — 40, სოხუმის—88,2, გუდაუთის—48,5, მახარაძის — 61,8, ჩოხატაურის — 46,8, ლანჩხუთის—74,4, სამტრედიის — 74, წულუკიძის—78,8, წყალტუბოს—94,5, ტყიბულის—98,1, ცხაკაიას—61,8, გეგეჭკორის—79,8, ზუგდიდის—68,3, წალენჯიხის—80,7, ჩხოროწყუს — 62,0, ხობის რაიონში—60,3 პროცენტით.

საანეულო ხვნა კოლმეურნეობებში

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა საანეულო ხვნის გეგმა 20 ივნისისათვის 107,3 პროცენტით შეასრულეს. ახალქალაქის რაიონში გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით, ბოგდანოვკის — 105,7, ახალციხის—84,5, ადიგენის—101, ასპინძის—130,9 ხაშურის—71, ქარელის —76,8, გორის—55,5, კასპის—85,6, ბორჯომის—76, წალკის—60,5, დუშეთის—100,1, თეთრიწყაროს — 100,5, თიანეთის—38, გურჯაანის—37, კაჭრეთის—110, სიღნაღის—94,5, წითელწყაროს—123,6, თელავის—91,8, ახმეტის — 154, ყვარლის — 100, თბილისის — 106,1, მცხეთის—145,3, გარდაბნის — 121,4, მარნეულის—90,4, ბოლნისის — 100,2, საგარეჯოს—80,6, დმანისის — 42,1 პროცენტით.

სულ კოლმეურნეობებში საანეულოდ მოხნულია 61.560 ჰექტარი. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 87,9 პროცენტით.

თავთავიანი მარცვლეული კულტურების აღება

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში თანდათანობით ჩაღდება თავთავიანი მარცვლეული კულტურების აღება. ივნისის მარტო მეოთხე ხუთდღიურში აღებულია 5.217 ჰექტარი მარცვლეული კულტურები.

20 ივნისისათვის გარდაბნის რაიონში აღებული იყო 1.107 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული, სიღნაღის რაიონში —955, ქუთაისის—40, დუშეთის—6, თეთრიწყაროს—847, გურჯაანის — 96, კაჭრეთის—275, წითელწყაროს — 779, თელავის—21, ყვარლის—684, ლაგოდეხის—658, თბილისის—649, მცხეთის —59, მარნეულის—582, ბოლნისის — 525, საგარეჯოს რაიონში—153 ჰექტარი.

აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა შეასრულეს

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 101,1 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. მათ სახელმწიფოს ჩააბარეს 65.240 კილოგრამი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი. დიდი მონდომებით იმუშავეს და კარგ შედეგებს მიაღწიეს სოფელ სანავარდოს კომინტერნის, სოფელ ოქტომბრის ძნელაძის, სოფელ შილდის ორჯონიკიძის, სოფელ გავაზის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობებმა და ამავე სოფლის კოლმეურნეობა „განთიადმა“. მათ სახელმწიფოსათვის პარკის ჩაბარების გეგმები 117-140 პროცენტით შეასრულეს.

* * *

ბოლნისის რაიონმა 23 ივნისისათვის სახელმწიფოს ჩააბარა 5.368 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. წლიური გეგმა შესრულებულია 107 პროცენტით. კოლმეურნეობები განაგრძობენ პარკის ჩაბარებას.

თამბაქოს შეტეხა

20 ივნისისათვის საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა შეტეხეს 76.498 ზონარმეტრი თამბაქო. მარნეულის რაიონში შეტეხილია 59.702 ზონარმეტრი თამბაქო, ლაგოდეხის რაიონში — 15.796, ბოლნისის რაიონში—1.000 ზონარმეტრი.

ლაგოდეხის რაიონის ცნობები 15 ივნისისაა.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ
კორკოტაძე მიცემულია პასუხისგებაში

ამას წინათ „კომუნისტის“ რედაქციამ მიიღო წერილი, რომლის ავტორი ამხილებდა სოფელ ახალდაბის რძის მიმღები პუნქტის გამგის ბოროტმოქმედებებს (რძის ჩამბარებელთა კუთვნილი თანხების მითვისება, წონაში სისტემატურად მოტყუება).

წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა მშრომელთა დეპუტატების ბორჯომის რაისაბჭოს აღმასკომს. როგორც აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. კუპრაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. სოფელ ახალდაბის რძის მიმღები პუნქტის გამგე კორკოტაძე მოხსნილია სამუშაოდან და ბორჯომის რაიპროკურორის მიერ მიცემულია პასუხისგებაში.

პროპაგანდისტის დასახმარებლად

მიწის რეფორმის შესახებ გერმანიაში

მსხვილ მემამულეთა მიწათმფლობელობა ყოველთვის იყო გერმანიის რეაქციული ძალების ბაზა. იუნკრები მუდამ მხარს უჭერდნენ გერმანიის მილიტარიზმს. გერმანიის მილიტარისტული სახელმწიფო მსხვილ მიწათმფლობელთა შორის პოულობდა თავის სამხედრო და სამოხელეო კადრებს. ჰიტლერული იმპერიის განადგურებამდე გერმანელ მემამულეებს მბრძანებელი პოსტები ეკავათ პოლიტიკასა და ეკონომიკაში. პრუსიის იუნკერი იყო ბისმარკი, იუნკერი იყო ბეტმან-ჰოლვეგიც, რომელიც გერმანულ პოლიტიკას ხელმძღვანელობდა პირველი მსოფლიო ომის დროს. გერმანიის ოცდაორ კანცლერთაგან ნახევარზე მეტი ცნობილი მემამულე იყო. ერთ-ერთმა ამ მემამულე კანცლერმა — ბერნჰარდ ფონ-ბიულოვმა მოისურვა, რომ მის საფლავზე ამოკვეთილი ყოფილიყო დამახასიათებელი სიტყვები: „ეს იყო აგრარული კანცლერი“.

უკვე პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სრულიად აშკარა გახდა, რომ გერმანიის ძირეული დემილიტარიზაცია შეუძლებელი იყო მიწის რეფორმის გაუტარებლად. ვაიმარის კონსტიტუცია სპეციალურ პუნქტს შეიცავდა მიწის რეფორმის შესახებ. გათვალისწინებული იყო, რომ მიწის განსაზღვრული რაოდენობა მემამულეებს უნდა ჩამორთმეოდათ მცირემიწიან და უმიწაწყლო გლეხურ მეურნეობათა სასარგებლოდ. მაგრამ ვერსალისშემდგომ პერიოდში აგრარული რეფორმის შედეგი მეტად სავალალო იყო. 1919-დან 1932 წლამდე წარმოიშვა სულ 57.500 გლეხური კომლი. ამ მეურნეობათა თითქმის ნახევარი კულაკური იყო. ამრიგად, კულაკობა გაძლიერდა, ხოლო მიწა მეტწილად კვლავ იუნკერთა ხელში დარჩა. მაშასადამე, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გატარებულმა „აგრარულმა რეფორმამ“ ოდნავადაც ვერ შეუცვალა სახე გერმანულ სოფელს.

მემამულეებმა და მემამულეთა ოჯახიშვილებმა, „აგრარულმა მოხელეებმა“ და „აგრარულმა გენერლებმა“ ჰიტლერული რეჟიმის წლებში კიდევ უფრო განამტკიცეს თავიანთი ძალაუფლება. ისინი იმპერიალისტური ბურჟუაზიის ყველაზე რეაქციულ ნაწილთან ხელიხელჩაკიდებული ბატონობდნენ ჰიტლერულ სახელმწიფოში. ისევე, როგორც წინათ, მცირერიცხოვანი სამემამულეო მეურნეობანი ფლობდნენ გერმანიაში მთელი მიწის თითქმის ნახევარს და ტყეების დიდ ნაწილს. სანამ ფაშისტი მმართველები ხელში ჩაიგდებდნენ ძალაუფლებას, ისინი გერმანელ გლეხს დემაგოგიურად ჰპირდებოდნენ მიწას, მაგრამ ეს დაპირება უტიფარი მოტყუება აღმოჩნდა. ჰიტლერელებმა კულაკთა პოზიცია განამტკიცეს გერმანულ სოფელში და სრულიად არ შეხებიან დიდ მემამულეთა ლატიფუნდიებს. თუ კულაკებმა ახალი მიწა მიიღეს, ისევ გაჩანაგებულ წვრილ გლეხურ მეურნეობათა ხარჯზე. იუნკერთა სრული ბატონობა ხელუხლებელი დარჩა.

სრულიად აშკარაა, რომ გერმანიის სოფლის ძირეული დემოკრატიზაცია, გერმანიის იუნკერთა ძლიერების მოსპობა ერთ-ერთი ის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომლებიც დასახულია მოკავშირეთა წინაშე გერმანიაში. მსხვილი მემამულენი მხოლოდ მაშინ დაჰკარგავენ თავიანთ პოლიტიკურ გავლენას და ვეღარ დააყენებენ გერმანიას სამხედრო ავანტიურების გზაზე, თუ მათ ნამდვილად ჩამოერთმევათ მიწა, მათი ბატონობის ეს საფუძველი.

გადამწყვეტი აგრარული რეფორმის საკითხი ერთ-ერთი საარსებო საკითხი გახდა გერმანიისათვის მოკავშირეთა მიერ მისი ოკუპაციისთანავე. მაგრამ განვლილ ორ წელში ნამდვილად კარდინალური აგრარული რეფორმა განხორციელდა მხოლოდ საბჭოთა ზონაში.

აგრარული რეფორმის კანონები 1945 წლის შემოდგომაზე მიიღო საბჭოთა ზონის ყველა პროვინციულმა და საოლქო თვითმმართველობამ. ყველა სამხედრო დამნაშავეს და ომის დამნაშავეს, ყველა აქტიურ ჰიტლერელს უსასყიდლოდ ჩამოერთვა მეურნეობა. უსასყიდლოდ ჩამორთმეულია აგრეთვე ის ფეოდალურ-იუნკრული მამულები, რომელთა ფართობი ას ჰექტარს აღემატებოდა. გარდა ამისა, მიწის ფონდში შეტანილ იქნა სახელმწიფო მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი. საერთოდ აგრარული რეფორმის მიწის ფონდი საბჭოთა ზონაში შეადგენს 2,7 მილიონ ჰექტარს.

1946 წლის ზაფხულისათვის განაწილებულ იქნა 2,5 მილიონი ჰექტარი მიწა. ამ ფართობის მეტი ნაწილი მიიღეს სოფლის მეურნეობის მუშებმა, ახალდასახლებულმა და მცირემიწიანმა გლეხებმა. სულ ოკუპაციის საბჭოთა ზონაში მიწა მიიღო 438 ათასმა ახალმა მეურნეობამ.

ოკუპაციის საბჭოთა ზონაში მიწის რეფორმის შედეგად გერმანიის რეაქციულ იუნკრობას გამოეცალა თავისი ძლიერების ეკონომიური ბაზა და ამით დაჰკარგა პოლიტიკური გავლენაც. რეფორმის მეოხებით საბჭოთა ზონამ 1946 წელსვე უზრუნველჰყო მოსახლეობა სურსათით დაწესებული ნორმების თანახმად.

ობიექტური უცხოელი მეთვალყურენი ერთხმად აღნიშნავენ მიწის რეფორმის დადებით შედეგს ოკუპაციის საბჭოთა ზონაში. გერმანული გაზეთი „ტაგესშპიგელი“ (გამოდის ბერლინის ამერიკულ ზონაში) აღნიშნავს ელბის აღმოსავლეთით გერმანული სოფლის დემოკრატიზაციის წარმატებას და უპირისპირებს მას უმნიშვნელო „მიწის რეფორმას“, რაც დასავლეთში ხორციელდება. გაზეთი სწერს: „დასავლეთი ზონების ბიუროკრატიული, ხალხს მოწყვეტილი სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებანი წარმოადგენენ იმის მიზეზს, რომ ამ ზონებში დაბალია მიწოდების დონე და არ არსებობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიზანშეწონილი გამოშვება“.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ვილჰელმ პიკმა გაზეთ „ტეგლიხე რუნდშაუს“ კორესპონდენტთან ინტერვიუში კითხვაზე, თუ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონაში გაცილებით უკეთესი სასურსათო მდგომარეობაა, ვიდრე დასავლეთ ზონებში, უპასუხა: „საბჭოთა ზონაში მომარაგების უკეთესი პირობები ციდან არ ჩამოვარდნილა. ჩვენ ეს პირობები მოვიპოვეთ მიწის რეფორმის და სოფლის მეურნეობისათვის დახმარების მრავალ ღონისძიებათა განხორციელების გზით“.

ოკუპაციის დასავლეთ ზონებში სამიწათმოქმედო ურთიერთობა რამდენადმე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ინგლის-ამერიკის პრესა ხშირად ირწმუნება, გერმანიის დასავლეთ ნაწილში მემამულეთა მიწათმფლობელობა ფართოდ არაა გავრცელებული. ეს მტკიცება სინამდვილეს ეწინააღმდეგება. ოკუპაციის ამერიკულ ზონაში მემამულენი ჰფლობენ 3 მილიონ ჰექტარ მიწას, ინგლისურ ზონაში—1 მილიონზე მეტ ჰექტარს, ფრანგულ ზონაში — 800 ათას ჰექტარს. ოკუპაციის დასავლეთ ზონებში არის 14 ათასი მამული, რომელთა ფართობზეც შეიძლებოდა მოწყობილიყო მრავალი ასეული ათასი გლეხური მეურნეობა.

დასავლეთ ზონებში მსხვილი მიწათმფლობელობა დღემდე ხელუხლებლადაა დატოვებული. ინგლისელ და ამერიკელ საოკუპაციო ხელისუფალთა „გულკეთილობა“ იქამდე მიდის, რომ ოკუპაციის საბჭოთა ზონიდან გაქცეულმა პრუსიელმა იუნკრებმა გერმანიის დასავლეთ ნაწილში ახალი მამულები მიიღეს. მაგალითად, ნაცისტმა ფონ-დერ-ჰოლცმა მიწა მიიღო ჰანოვერის რაიონში. მემამულე ფონ-პეტერის ქვრივმა, მეკლენბურგიდან განდევნილმა, იჯარით აიღო ოსტერჰოლცში ორი მამული 2 ათასი ჰექტარის რაოდენობით. გერმანული გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი“ სწერს, რომ აღმოსავლეთ ელბიდან წასულმა იუნკრებმა ბავარიელ ნათესავებთან სასიხარულო შეხვედრა იდღესასწაულეს თავადების ტურ უნდ ტაქსისის, შვარცენბერგისა და სხვათა რაინდულ მამულებში.

ოკუპაციის დასავლეთ ზონებში მეტწილად შენარჩუნებულია მოხელეთა წინანდელი აპარატი. მართალია, ყბადაღებულ ფაშისტურ სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია „რაიხსნერშტანდს“, რომლის დახმარებით ჰიტლერელთა ბანდა ბატონობდა სოფლად, სახელი გადაერქვა და იწოდება „გლეხთა კავშირად“, მაგრამ აბრის შეცვლით საქმე არ შეცვლილა. „გლეხთა კავშირებში“ იგივე „ფიურერები“ დარჩნენ, რომლებიც ძველ „რაიხსნერშტანდში“ იყვნენ. სხვადასხვა სასოფლო „საზოგადოებებსა“ და „კავშირებში“ მოკალათებული არიან და მოქმედებენ მემამულენი და მათი აგენტები. მაგალითად, ვიურტემბერგის გლეხთა კავშირის პრეზიდიუმში „გლეხთა წარმომადგენლებს“ შორის იყვნენ გრაფი მატუშკა-გრაიფენკლაუ, ბარონი ფონ-ჰემინგენი და მათი მსგავსნი.

შეიძლება ბევრი მაგალითი მოვიყვანოთ, რომლებიც მოწმობენ, თუ რამდენად ხელს უწყობენ მემამულეთა საქმიანობას გერმანიის დასავლეთ ნაწილში. აი ერთი მაგალითი. რემნიცის მამულში, რაცებურგის მახლობლად, მემამულემ თვითეულ მორგენ მიწაზე მიიღო 75 კილოგრამი ხელოვნური სასუქი, ხოლო მცირემიწიანმა გლეხებმა მიიღეს 3-4 კილოგრამი.

ბუნებრივია, რომ გერმანელი მემამულენი, რომლებმაც მიწა და ბატონობა შეინარჩუნეს, წარმოადგენენ გერმანიის დასავლეთ ნაწილში დიდ ძალას, რომელიც აბრკოლებს გერმანიის დემოკრატიზაციას და ეკონომიურ აღდგენას.

დასავლეთ ოლქებში განხორციელდა ზოგიერთი ღონისძიება, რამაც თითქოს უნდა შესცვალოს რადიკალური აგრარული რეფორმა. მაგალითად, შლეზვიგ-ჰოლშტაინის ლანდტაგმა (ინგლისური ზონა) მიიღო მიწის რეფორმის პროექტი. ამ პროექტის თანახმად, მამული, რომლის ფართობი 150 ჰექტარს უდრის, ხელუხლებელი რჩება. მიწის გასხვისება იწყება მხოლოდ იმ მამულებით, რომელთა ფართობი აღემატება 150 ჰექტარს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც წინანდელ მფლობელს უტოვებენ სულ ცოტა 100 ჰექტარს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მემამულეთა მიწების დიდი ნაწილი ამ პროვინციაში ხელუხლებელი რჩება.

შლეზვიგ-ჰოლშტაინის მემამულენი წინდაწინ მოემზადნენ ამ „მიწის რეფორმისათვის“. მემამულეებმა ის მიწა, რომელიც საიჯაროდ ჰქონდათ გაცემული, მოიჯარადრეებს წაართვეს და ნათესავებსა და თავიანთ კაცებს გაუნაწილეს. ამრიგად, ეს მიწები იმავე მემამულეთა ოჯახების ხელში დარჩა.

შლეზვიგ-ჰოლშტაინში ახალდასახლებულებს გაუნაწილებენ მხოლოდ 180 ათას ჰექტარ მიწას. ამ ფართობზე უნდა მოეწყოს 150 ათასი ახალმოსახლე. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ყოველ ახალმოსახლე მეურნეობას ხვდება ერთ ჰექტარზე ცოტა მეტი მიწა. თუ ამას დავუმატებთ, რომ ამ მიწის დიდი ნაწილი ჭაობიანი და პარტახია, სურათი ცხადი გახდება. ახალდასახლებულნი, რომლებმაც მიწის ასე მცირე ნაკვეთები მიიღეს, მალე მოჯამაგირეებად გაუხდებიან მემამულეებს, რომლებმაც საუკეთესო მიწები შეინარჩუნეს.

ასეთივე „მიწის რეფორმის“ პროექტი შეიმუშავა ოკუპაციის ამერიკული ზონის პროვინციათა საბჭომ. ახალმოსახლე მეურნეობებს აქ მიწას აძლევენ ძირითადად არა მემამულეთა, არამედ პარტახი მიწების ხარჯზე. ამასთანავე კანონი ითვალისწინებს, რომ ახალმოსახლენი თავდაპირველად მოიჯარადრენი იქნებიან და მხოლოდ სამი წლის შემდეგ, „თუ ისინი დაამტკიცებენ, რომ უნარი აქვთ გაუძღვნენ სოფლის მეურნეობას“, შეუძლიათ იყიდონ იჯარით აღებული მიწა. ამ კანონის თანახმად მნიშვნელოვანი მეურნეობანი კვლავ მემამულეთა ხელში რჩება.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ მიწის ამ ნახევრულ რეფორმებს, რომელთა პროექტებიც განხილული იყო გერმანიის ოკუპაციის დასავლეთ ზონებში, ძალიან ხშირად საბოტაჟს უწევენ და არ ხორციელდება. გერმანული მოსახლეობისათვის განკუთვნილი ამერიკული გაზეთი „დი ნოიე ცაიტუნგი“ ახასიათებს მიწის რეფორმას და სწერს, რომ გერმანელი ხელისუფალნი დასავლეთ გერმანიაში აშკარად ეწინააღმდეგებიან მიწის რეფორმას და ძალიან დიდი ხნით აჭიანურებენ მის განხორციელებას.

როგორც ვხედავთ, დასავლეთ გერმანიაში მემამულური მიწათმფლობელობის საფუძვლები და, მაშასადამე, გერმანიის მილიტარიზმის ერთ-ერთი საფუძველი სრულიადაც არ შერყეულა. ყველა ობიექტური უცხოელი მეთვალყურე იძულებული ხდება აღიაროს ეს ფაქტი. მაგალითად, ჟურნალი „ჯერმან ამერიკანი“, რომელიც ნიუ-იორკში გამოდის, სწერს, რომ „გერმანიის რეაქციის ეკონომიური საფუძველი დასავლეთ ზონებში კვლავ ხელუხლებელი რჩება. დიდი მიწათმფლობელობანი, ინდუსტრიული კორპორაციები არ შეუწუხებიათ.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოსკოვის სესიაზე საბჭოთა დელეგაციამ არაერთხელ აღნიშნა, რომ აგრარული რეფორმის განუხორციელებლად არ შეიძლება იყოს ნამდვილად დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე გერმანია.

გერმანიის დემილიტარიზაციისა და დემოკრატიზაციისათვის ნამდვილი ბრძოლის მაჩვენებელი შეიძლება იყოს მიწის გადამწყვეტი რეფორმა, ისეთივე, როგორიც განხორციელდა საბჭოთა ზონაში. მსხვილ მიწათმფლობელ იუნკრებს, რომლებიც გერმანიის მილიტარისტთა მთავარ კადრებს იძლევიან, მიწა უნდა ჩამოერთვათ მთელ გერმანიაში და გადაეცეთ გლეხებს არა სიტყვით, არამედ საქმით.

დ. მელნიკოვი

სწავლობენ ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიებს

ჭიათურელი მაღაროელები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია გულმოდგინედ სწავლობენ დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიებს. საქალაქო პარტკაბინეტში სპეციალურად მოწყობილ სტენდებზე გამოფენილია ლიტერატურა და სხვა მასალები, რომლებიც მოგვითხრობენ რევოლუციის დიდი ბელადების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

მაღაროებსა და საწარმო-დაწესებულებებში ეწყობა ლექციები ლენინისა და სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. სერიოზულ მუშაობას ეწევიან მაღაროებში არსებული ლექტორთა ჯგუფები. მათ აპრილსა და მაისში 30-ზე მეტი ლექცია-საუბარი ჩაატარეს. ლენინის სახელობის მაღაროში მოეწყო ლექცია თემაზე: „მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლების დაცვა ლენინის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. სტალინის სახელობის მაღაროში დიდი ყურადღებით მოისმინეს ლექცია ლენინის შრომაზე „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, ბერიას სახელობის მაღაროში—„ლენინი ახალგაზრდობის შესახებ“. პარტკაბინეტში მოეწყო კონსულტაციები ი. ბ. სტალინის ადრინდელ ნაშრომებზე „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“, „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ და სხვ.

პ. ჭიოკაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

პარტიული ცხოვრება

არბოშიკელი კომუნისტები

„წითელი არბოშიკი" დიდი და მძლავრი კოლმეურნეობაა. იგი ცნობილია არა მარტო წითელწყაროს რაიონში, არამედ მთელ საქართველოში და საბჭოთა კავშირშიც კი. კოლმეურნეობა 633 კომლს აერთიანებს. ათასზე მეტი კოლმეურნე შრომობს მემინდვრეობისა და მევენახეობის ბრიგადებში, მეცხოველეობის ფერმებში. კოლმეურნეობას 32 ათასამდე სული ცხვარი ჰყავს. არბოშიკელთა სახნავ-სათესს, საძოვრებსა და სათიბ ფართობებს რამდენიმე ათასი ჰექტარი უჭირავს. არტელის შემოსავალი 2 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს.

აქედან ცხადია, რომ კოლმეურნეობის პირველად პარტიულ ორგანიზაციას დიდი სამუშაო აქვს. ორგანიზაცია 100 კომუნისტს აერთიანებს. ეს სერიოზული ძალაა.

— კოლმეურნეობის სამეურნეო წარმატების ბედი წყდება უშუალოდ მინდვრად, ამიტომ კომუნისტებიც იქ მუშაობენ,—ამბობს პარტბიუროს მდივანი ამხ. დ. ალადაშვილი. მართლაც, 59 კომუნისტი ფიზიკურად შრომობს, 23 ბრიგადირია, 4 ფერმის გამგე, 3 ზოოტექნიკოსი, ორი ვეტექიმი და მისი თანაშემწე, დანარჩენები კი სხვადასხვა სამუშაოს ასრულებენ.

პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლას კოლმეურნეობაში. ამან დიდად შეუწყო ხელი სამეურნეო წარმატებათა მოპოვებას. კოლმეურნეები ბეჯითად [illegible] უხვი მოსავლის მისაღებად. [illegible] სათავეში კომუნისტები უდგანან. ისინი ავანგარდულ როლს ასრულებენ.

პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად იხილავს საკოლმეურნეო შრომაში კომუნისტების მონაწილეობის საკითხს, ნაკლოვანებებს დროულად ამჟღავნებს, სახავს მათი გამოსწორების ღონისძიებებს და თანმიმდევრულად იბრძვის მიღებულ დადგენილებათა შესრულებისათვის.

კომუნისტები მ. ბატიაშვილი, ტ. ბალაშვილი, ს. სეფიაშვილი, ი. მაჩაბლიშვილი და ი. ნარინდოშვილი არასაკმაოდ მონაწილეობდნენ საკოლმეურნეო შრომაში. პარტიული ორგანიზაციის ბიურომ დაუყოვნებლივ შეისწავლა მათი საქმე. საკითხი პარტიული კრების მსჯელობის საგანი გახდა. კრებამ მ. ბატიაშვილს, ტ. ბალაშვილს და ს. სეფიაშვილს გაფრთხილება მისცა, ხოლო ი. მაჩაბლიშვილს და ი. ნარინდოშვილს მიუთითა. გარდა ამისა, კრებამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დაავალა დასახელებული კომუნისტებისათვის შესაფერი სამუშაო შეერჩია.

რამდენიმე დღის შემდეგ პარტბიურომ შეამოწმა დადგენილების შესრულება. მ. ბატიაშვილი აქტიურად ჩაება მეცხვარეობის ფერმის მუშაობაში. ს. სეფიაშვილს ბრიგადირობა მიანდეს. ტ. ბალაშვილმა უკეთ იწყო მუშაობა ბრიგადაში.

ერთ-ერთ პარტიულ კრებაზე კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის მუშაობის საკითხი განიხილეს. სარედაქციო კოლეგიის არჩევიდან 2 თვე იყო გასული. არჩეული ამხანაგები ცუდად მუშაობდნენ, გაზეთი იშვიათად გამოდიოდა, ყურადღება არ ექცეოდა წერილების ხარისხს, არ უჩვენებდნენ მოწინავეთა გამოცდილებას და არ ამჟღავნებდნენ ჩამორჩენილებს. კრებამ მითითება მისცა გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრებს და რედაქტორს ამხ. ბალაშვილს. ეს იყო აპრილის ბოლოს. ამის შემდეგ კედლის გაზეთის სამი ნომერი გამოვიდა, გაუმჯობესდა წერილების ხარისხი. გაზეთი ჩადგა სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის სამსახურში, მაისიდან ბრიგადებში საველე გაზეთების გამოშვებაც დაიწყო. ამ საქმეს აგიტატორები ჩაუდგნენ სათავეში.

25 მაისს პარტიულმა კრებამ განიხილა საგიტაციო მუშაობის მდგომარეობა კოლმეურნეობაში, აგიტკოლექტივის ხელმძღვანელის ამხ. გ. ოზბეგაშვილის ანგარიში მოისმინა. კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგიტატორებმა და პარტიის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორმა ამხ. ა. ბალაშვილმა. მათ ამხილეს აგიტკოლექტივის მუშაობის სუსტი მხარეები, სახელდობრ: სისტემატურად არ ეწყობოდა აგიტსემინარი, არ იყო ჩატარებული მუშაობის ზუსტი აღრიცხვა და სხვ. კრებამ დასახა სათანადო ღონისძიებანი აგიტკოლექტივის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ამის შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა. აგიტატორებმა საგრძნობლად გააძლიერეს მუშაობა, აგიტკოლექტივი ეხმარება მათ, უწევს კონსულტაციას, ურჩევს ლიტერატურას. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ესწრება აგიტატორთა საუბრებს, აძლევს მათ მითითებებს, დადის მინდვრად საკოლმეურნეო ბრიგადებში. პარტიულმა კრებამ საგიტაციო მუშაობის საკითხი 8 ივნისსაც განიხილა. მოწინავე აგიტატორებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება.

კოლმეურნეობაში 24 აგიტატორია. მათი აგიტაცია ხელს უწყობს გეგმების შესრულებას. მოწინავეა მეხუთე ბრიგადის აგიტატორი ზ. დათუკიშვილი. იგი ყოველდღიურად ესაუბრება კოლმეურნეებს მათთვის საინტერესო საკითხებზე, გულდასმით აცნობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 29 მარტის ბრძანებულებას, საუბრებს მოხერხებულად უკავშირებს კოლმეურნეობის ცხოვრებას, უშვებს საველე გაზეთს, რომელშიც შუქდება მოწინავეთა გამოცდილება და გაკრიტიკებულია ჩამორჩენილები. ამას წინათ მესამე რგოლმა, რომელიც შირაქში მუშაობდა, სიმინდი უხარისხოდ გათოხნა. გაზეთმა ხმა აიმაღლა, მერგოლურის მუშაობაზე კორესპონდენცია მოათავსა. აგიტატორმა ამავე საკითხზე რგოლში საუბარი ჩაატარა. ახლა ეს რგოლი მოწინავეა. ამხ. დათუკიშვილმა სპეციალური საუბარი მიუძღვნა საგზაო ათდღიურის გამოცხადებას, ბრიგადის წევრებს უამბო თუ რა მნიშვნელობა აქვს კეთილმოწყობილ, კულტურულ გზებს. ბრიგადა ერთსულოვნად გამოვიდა სამუშაოდ და დავალება ვადამდე შეასრულა.

პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა კარგადაა მოწყობილი მეოთხე ბრიგადაში. ამ ბრიგადის აგიტატორის ამხ. ჭრელაშვილის სიტყვა ავტორიტეტულია. კოლმეურნეები სიამოვნებით უსმენენ მას. ბრიგადა მოწინავეა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ბრიგადებისა და რგოლებისათვის დაწესებული გარდამავალი წითელი დროშა მტკიცედ უპყრია მეოთხე ბრიგადას.

პარტიულ ორგანიზაციას შედგენილი აქვს ლექციების, მოხსენებების, საუბრების გეგმა. 5 თვის განმავლობაში კოლმეურნეობაში მოეწყო 11 ლექცია. ნაყოფიერად მუშაობს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელი წრე, რომელშიც გაერთიანებულია 21 კაცი. მეცადინეობა სისტემატურად ტარდება კვირაში ერთხელ. ამავე დროს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს დამოუკიდებლად სწავლობს 26 კომუნისტი. რაიკომის ლექტორები მათთვის აწყობენ კონსულტაციებს, თეორიულ საუბრებს. პარტიის ისტორიის შესასწავლად ბეჯითად მეცადინეობენ ი. ალადაშვილი, ა. ბალაშვილი, ბ. ოზბეგაშვილი, ი. ლომაშვილი და სხვები.

პარტიული ორგანიზაცია კულტურული მუშაობის ორგანიზატორიცაა. საკოლმეურნეო კლუბში ორ დღეში ერთხელ აჩვენებენ კინოსურათს. კინოსურათებს მინდვრადაც უჩვენებენ კოლმეურნეებს. რაიონული თეატრის ბრიგადა და საშუალო სკოლის დრამატიული წრე ხშირად მართავს აქ წარმოდგენებს.

გამგეობისა და მისი თავმჯდომარის ამხ. ე. სეფიაშვილის უნარიანმა მუშაობამ, მათდამი პარტიული ორგანიზაციის ქმედითმა დახმარებამ, პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლებამ მნიშვნელოვანი წარმატება მოუპოვა კოლმეურნეობას. აღიზარდნენ უხვი მოსავლისა და საკოლმეურნეო დოვლათის გამრავლებისათვის საუკეთესო მებრძოლნი — კომუნისტები ი. ხარებაშვილი, გ. ალადაშვილი, ი. სეხნიაშვილი, თ. კოჭლამაზაშვილი, მერგოლური თინათინ ლაპიაშვილი, რომელმაც შარშან 403 შრომადღე გამოიმუშავა, წელს კი ჯერჯერობით 170, მინა სეხნიაშვილი, მჭედლები გ. ბიკაშვილი, პ. პავლიაშვილი, მეღორეობის ფერმის გამგე ი. ბიკაშვილი, რომელმაც 120 სულის ნაცვლად მიიღო და შეინარჩუნა 220 სული ღორი. კარგად მუშაობენ პარტიაში ახლადმიღებულნი კოლმეურნე ზ. სეფიაშვილი, თ. ბატიაშვილი, ს. ოთარაშვილი, რომელიც სანაქებო მწყემსად ითვლება, ბრიგადირი დ. ბულაშვილი, ალ. სეხნიაშვილი.

ახლა კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის" პარტიული ორგანიზაციის მთელი მუშაობა მიმართულია მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის კოლმეურნე მასების დასარაზმავად. უეჭველია, არბოშიკელები აქაც გამოიჩენენ თავს და კიდევ უფრო ძლიერს გახდიან თავიანთ კოლმეურნეობას.

ნ. ჯანჯღავა

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

საღამოს პარტიული სკოლის გამოშვება

მუშაობა დაამთავრა საქართველოს კ. პ. (ბ) ონის რაიკომთან არსებულმა ექვსთვიანმა საღამოს პარტიულმა სკოლამ. მსმენელებმა მოისმინეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ სპეციალურად დამტკიცებული პროგრამით გათვალისწინებული ლექციების სრული კურსი. შესწავლილ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, მეოთხე ხუთწლიანი გეგმის კანონი, სსრ კავშირისა და უცხოეთის გეოგრაფია და საერთაშორისო მდგომარეობის ცალკეული საკითხები.

სკოლა ფრიადზე დაამთავრეს ი. მაისურაძემ (რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკი), ი. თოდაძემ (ონის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), დ. მეტრეველმა, ა. ბენდიანიშვილმა, მ. თათარაძემ და სხვ.

კურსდამთავრებული ამხანაგები ამჟამად სწავლობენ ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიებს.

დავრაზმოთ მთელი ძალები მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის

თათბირი ასურეთის მტს-ში

მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად უნაკლოდ მოამზადეს მტს.-ებმა ტექნიკური საშუალებანი, როგორ არიან ისინი უზრუნველყოფილი კადრებით.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ ასურეთის მტს-ში საქართველოს კ. პ. (ბ) თეთრი წყაროს რაიკომთან ერთად მოაწყო კომბაინერების, ტრაქტორისტების, აგრონომებისა და მტს-ის ხელმძღვანელი მუშაკების საწარმოო თათბირი, მიძღვნილი მოსავლის აღებისათვის მზადების მდგომარეობისადმი.

ქვემოთ ვათავსებთ თათბირის ანგარიშს.

მოსავლის მიხედვით ფასდება მტს-ის მუშაობა

მტს-ის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ამხ. დ. დარჯანიას სიტყვიდან

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ხორბლის, ჭვავის, სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და ბამბის უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით მათი დაჯილდოების შესახებ" მოსავლიანობის გადიდებისათვის მასების მობილიზაციის მძლავრი საშუალება გახდა. საგაზაფხულო ხვნა-თესვა გაცილებით უკეთესად ჩატარდა, ვიდრე წინა წლებში. წარმატებით მიმდინარეობს ნათესების დამუშავებაც. მალე პურის მკა გაჩაღდება. მტს-ის კოლექტივი დიდი ამოცანის წინაშეა: უნდა უზრუნველვყოთ მოსავლის მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აღება. დაწესებულ ვადებში შეკეთებულია 12 კომბაინი, მათ შორის სამს გაუკეთდა კაპიტალური რემონტი. ყველა კომბაინი უზრუნველყოფილია მარცვალმჭრელებით, დაკომპლექტებულია კადრებით. შედგენილია კომბაინების მოძრაობის მარშრუტი. მინდვრად მოეწყობა მოძრავი სახელოსნო. გამოყოფილია ავტომანქანა, რომელიც მომსახურებას გაუწევს კომბაინერებს. წელს კომბაინებით ასაღებია 2.800 ჰექტარი თავთავიანი კულტურები, 350 ჰექტარი მზესუმზირა. ეს სერიოზულ მუშაობას მოითხოვს.

მოსავლის აღებისათვის მზადებაში ნაკლოვანებებიც არის. ზოგიერთ კოლმეურნეობაში (სოფელ ქოთიში, პატარა და დიდი დურნუკი) საჭირო რაოდენობით არა აქვთ მარცვლეულის გადასაზიდი ბუნკერები, რამაც შეიძლება კომბაინების მოცდენა გამოიწვიოს. მტს-ს კომბაინებისათვის მომარაგებული არა აქვს სათადარიგო ღვედები, დამჭიმავი გორგოლაჭები. ჩამორჩა სალეწი მანქანების რემონტი. გარდა ამისა, ღამით მუშაობისათვის 5 ტრაქტორს არ აქვს მოწყობილი განათება.

აქედან ჩანს, რომ მტს-ს გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი აქვს. მტს-ის დირექცია ყველაფერს გააკეთებს ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად და მოსავალს აიღებს 25 სამუშაო დღეში.

შრომის სწორი ორგანიზაცია წარმატების საფუძველია

აგრეგატის უფროსი კომბაინერის ამხ. ა. მიკირტუმაშვილის სიტყვიდან

კომბაინერებს კარგად გვესმის კომბაინების შეუფერხებლად მუშაობის დიდი მნიშვნელობა. ამიტომ ასე გულდასმით ვამზადებ მანქანას. გამოცდილებით ვიცი კომბაინის რა ნაწილები შეიძლება დაზიანდეს მუშაობის დროს და მათ წინასწარ ვიმარაგებ. კომბაინის აგრეგატი მთლიანად დაკომპლექტებულია. ჩვენ უკვე მინდვრად ვართ და ველოდებით მოსავლის აღების დაწყების სიგნალს. შარშან მოსავალი ავიღე 346 ჰექტარზე. წელს ნაკისრი მაქვს პური ავიღო 600 ჰექტარზე და დავზოგო საწვავი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და აგრონომის დახმარებით შევისწავლე ნაკვეთები, გავითვალისწინე რომელი ნაკვეთი უწინ იქნება ასაღები. დიდ ყურადღებას მივაქცევ მანქანის ტექნიკურ მოვლას, რადგან ამაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კომბაინის შეუფერხებელი მუშაობა. შრომის სწორად მოწყობა წარმატების საფუძველია. აგრეგატის თვითეულ წევრს მიჩენილი აქვს თავისი სამუშაო. ვფიქრობ, დაკისრებულ ამოცანას შევასრულებთ, უხვ მოსავალს უდანაკარგოდ ავიღებთ.

დანაკარგებთან ბრძოლა

მტს-ის უფროსი აგრონომის ამხ. ა. სუკოიანის სიტყვიდან

დანაკარგებთან ბრძოლაში მტს-ს ხელი უნდა შეუწყონ კოლმეურნეობებმა, მაგრამ ზოგან ამას არ აკეთებენ. მაგალითად, სოფელ ახალი მარაბდის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე დ. ვარამიშვილი) ჯერ არ გამოუყვიათ თავთავის ამკრეფი ბრიგადები. ზოგჯერ თავთავის აკრეფას მცირეწლოვან ბავშვებს ავალებენ. ეს დანაკარგებთან ბრძოლის შეუფასებლობაა, რასაც ბოლო უნდა მოეღოს.

საჭიროა ყველა კომბაინს გაუკეთდეს სპეციალური მოწყობილობა ჩაწოლილი პურის ასაღებად. ეს დიდად შეამცირებს დანაკარგებს.

კომბაინერებმა და მათმა თანაშემწეებმა, ტრაქტორისტებმა თავიანთი მანქანების ტექნიკური მოვლა დილით ადრე უნდა აწარმოონ, რათა ყანის აღების შესაძლებლობის დადგომისთანავე გავიდნენ სამუშაოდ.

შევამჭიდროვოთ მკის, ლეწვის ვადები. სერიოზული ყურადღება მივაქციოთ სატრანსპორტო ბრიგადების მუშაობას, რათა არ დაბრკოლდეს სახელმწიფო პუნქტებსა და საკოლმეურნეო ბეღლებში მარცვლეულის გადაზიდვა. პირველი განლეწი მარცვლეულით შევასრულოთ პურის დამზადების გეგმა.

მტს-საგან მეტ დახმარებას მოველით

სოფელ კოდის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ი. დალაქიშვილის სიტყვიდან

ჩვენ მზად გვაქვს ცხენის 22 ოთხთვალა საზიდარი, 20 ბუნკერი, 3 ცალი მარცვლეულის დამხარისხებელი. უზრუნველყოფილი ვართ მოსავლის ასაღებად საჭირო წვრილი ინვენტარით. მოვაწყვეთ კალოები, მომზადებულია საწყობები.

წელს კოლმეურნეობამ უნდა აიღოს 209 ჰექტარი ქერი და 396 ჰექტარი ხორბალი. შარშანდელთან შედარებით ქერის ყანები 15 დღით ადრე შემოვიდა. სამწუხაროდ, ეს დროზე ვერ გაითვალისწინა მტს-მა და ქერის შერჩევითი აღება 7 დღის დაგვიანებით დაიწყო. რადგან მტს-ის მოლოდინში მარცვლეულის საგრძნობ ნაწილს დავკარგავდით, იძულებული ვიყავით კომბაინებით ასაღები ნაკვეთი ხელით მოგვემკა. სასწრაფოდ გამოვიყვანეთ ამ სამუშაოზე 230 კოლმეურნე და 6 დღეში ავიღეთ 125 ჰექტარი ქერი. ამ დღეებში ლეწვაც უნდა დაიწყოს, მაგრამ ამისათვის მტს-ს ჯერ არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამს.

ჩვენ ნაკისრი გვაქვს, 417 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 15 ცენტნერი ხორბალი და 175 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე—15 ცენტნერი სიმინდი. ამ ვალდებულების გასანაღდებლად გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება. მტს-თან დადებული გვაქვს ხელშეკრულება, მაგრამ ის მთლიანად არ სრულდება. მტს-საგან მეტ დახმარებას მოვითხოვთ.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა

მტს-ის დირექტორის მოადგილის პოლიტიკურ ნაწილში ამხ. შ. ბეჟაშვილის სიტყვიდან

მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა უნდა დავუმორჩილოთ ერთ მიზანს—სწრაფად, უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, ვადაზე შევასრულოთ პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. კომბაინერებს, ტრაქტორისტებსა და სარემონტო სახელოსნოს მუშებს საფუძვლიანად გავაცანით საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 29 მარტის ბრძანებულება, ვმართავთ საუბრებს შრომის დამატებითი ანაზღაურების წესებზე.

მოსავლის აღების პერიოდში გამოვუშვებთ საველე გაზეთებს, მოვაწყობთ მოწინავეთა დაფას.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია მტს-ის მუშაკთა კულტურული მომსახურება, გამოყენებული არ არის მოძრავი კინოაპარატი. არა გვაქვს მოწყობილი წითელი კუთხე, გაზეთების ვიტრინა. ამ ნაკლს გამოვასწორებთ, მთელ ძალებს დავრაზმავთ უხვი მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის.

* * *

თათბირმა შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი მოსავლის აღებისათვის მზადების საქმეში ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მტს-ის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ამხ. დარჯანიამ თათბირის მიერ დასახულ ღონისძიებათა საფუძველზე გამოსცა ბრძანება მოსავლის მოკლე ვადებში და ორგანიზებულად აღებისათვის.

შ. ჭოჭუა

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

თეატრი

თანამედროვეთა სახეები რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე

იმ სპექტაკლებს შორის, რომლებიც მოძმე საქართველოს თეატრმა სსრ კავშირის დედაქალაქში აჩვენა, ორი დადგმა იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას, იწვევს ჩვენი საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ინტერესს: „სადგურის უფროსი" და „გამარჯვებულნი". თანამედროვე თემით, საბჭოთა ადამიანების სახეებით ზუსტად და მკაფიოდ მოწმდება სასცენო ხელოვნების ძირითადი თვისებანი, თეატრის შემოქმედებითი მეთოდი, მის ოსტატთა იდეური შეიარაღება, აქტიორული თამაშისა და რეჟისორული კომპოზიციის კულტურა.

სწორედ ამიტომ ჰეროიკული თემატიკით გაერთიანებულმა ამ ორმა პიესამ თვალსაჩინოდ ასახა რუსთაველის სახელობის თეატრის არსებითად რეალისტური ბუნების ცხოველი რომანტიკული მგზნებარება.

ეს პიესები თანაბარი ღირებულებისა როდია. ბ. ჩირსკოვის ნაწარმოების მაღალი ღირსებანი საყოველთაოდ ცნობილია. ი. მოსაშვილის პიესა ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია თანამედროვე თემასთან ეროვნული დრამატურგიის დაახლოების გზაზე, თუმცა ჯერ კიდევ არც თუ ისე ბევრ მასალას აძლევს თეატრს მხატვრულად სრულფასოვანი სპექტაკლის განსახორციელებლად, მაგრამ თეატრმა ცოტა სიყვარული და შრომა როდი მოანდომა ამ დადგმას.

რა თქმა უნდა, თეატრის თვისებები ყველაზე მკაფიოდ მჟღავნდება მის საუკეთესო ოსტატთა შემოქმედებით.

მთავარ როლს პიესაში „სადგურის უფროსი" ასრულებს ა. ვასაძე. ა. ვასაძის მრავალმხრივი, ფართო შემოქმედებითი დიაპაზონი ნათლად იგრძნობა ამ ერთი როლის ფარგლებშიც კი. მაყურებელს, რომელმაც ვასაძე პირველად გაიცნო სპექტაკლში „სადგურის უფროსი", მტკიცედ სჯერა, რომ ამ მსახიობს შეუძლია მშვენივრად ითამაშოს ფრანც მოორიც შილერის დრამაში და მსგავსი ოსტროვსკის კომედიაში, იმდენად საგრძნობია მის მიერ ლევან ჩადუნელის როლის შესრულებაში უაღრესად სხვადასხვაგვარ სალებავთა ჰარმონიული შეხამება... აი იგი, რკინიგზის პატარა სადგურის უფროსი კავკასიის მთებში, პირველად წარმოსდგება ჩვენს წინაშე იმ მომენტში, როცა სადგურს, ჩადუნელის სახლს, მის მშობლიურ ოჯახს გარდუვალი და მრისხანე საფრთხე ემუქრება: ნახევარი საათის შემდეგ აქ გერმანელები იპარპაშებენ. პანიკა—აი რა უნდა იქნას აცილებული თავიდან, რადაც უნდა დაჯდეს, და ჩადუნელი—ვასაძე დინჯად და მტკიცედ იძლევა უკანასკნელ განკარგულებებს. ჩადუნელი, კაცი, რომელსაც სავსებით შესწევს თავის დაჭერის უნარი, აბრუნებს გერმანელების მოტყუებას, თავს მათ მომხრედ აჩვენებს, ამასობაში კი წარმატებით ასრულებს საბჭოთა პატრიოტის მოვალეობას.

ა. ვასაძე დიდ ადამიანურ მომხიბლაობას ანიჭებს ჩადუნელის სახეს. მაყურებლები გრძნობენ ამ უდრეკი ნების, მტკიცე, თავდადებული ადამიანის სულის სითბოსა და სინაზეს. რკინიგზის პატარა სადგურის უფროსი, ერთ-ერთი მრავალ მილიონ საბჭოთა ადამიანებს შორის, იჩენს ჩვენი თანამედროვე ადამიანის საუკეთესო თვისებებს, რომელთა ჰარმონიულ შეხამებაში ა. ვასაძე პოულობს იმ ფსიქოლოგიურ და სოციალურ სიმართლეს, რაც მუდამ მთელი სიცხოველითა და რეალურობით შეაგრძნობინებს მაყურებლებს სცენიურ სახეს.

რთული და ამასთან მთლიანი ადამიანური ხასიათის შექმნის უნარს, რაც ასე ჭარბად ახასიათებს ა. ვასაძის ხელოვნებას, იგი ამჟღავნებს საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ პანტელეევის როლშიც პიესიდან „გამარჯვებულნი".

აქ ჩვენს წინაშე ცოცხლდება დიდი სამხედრო სპეციალისტის, დიდი კულტურისა და გამოცდილების მქონე ადამიანის სახე. ვასაძე გვიჩვენებს გენერლის ბუნებრივ მოსაზრებულობასაც, მის თავდაჭერასაც და იმ ადამიანურ სითბოსაც, რასაც გრძნობს ყველა, ვისაც მასთან საქმე აქვს...

ბ. ჩირსკოვის პიესაში „გამარჯვებულნი" ფრონტის სარდალ გენერალ-პოლკოვნიკ მურავიოვის ცენტრალურ როლს ასრულებს ა. ხორავა. მაყურებლები კარგად იცნობენ მას, როგორც ჰეროიკული რეპერტუარის მსახიობს. მურავიოვის როლი ჰეროიკულია. მაგრამ საბჭოთა გმირობის ბუნებას უწინარეს ყოვლისა ახასიათებს გარეგნული აფექტაციის უქონლობა. მისთვის სრულიად უცხოა თავმომწონეობა. ა. ხორავა მურავიოვის როლს ასრულებს ზღვრული თავდაჭერით, გულდასმით არჩევს სასცენო გამომსახველობის საშუალებებს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ნებას, აზრს, მხურვალე გრძნობას, რომლებიც მურავიოვს ამოძრავებენ, მიენიჭოთ მართალი და ძლიერი, დამაჯერებელი, მაყურებელთა მომხიბვლელი შთაბეჭდილება.

ა. ხორავა მართლაც იპყრობს მაყურებლებს, რომლებიც ვეღარ ამჩნევენ მსახიობის თამაშს და თვალწინ ხედავენ ცოცხალ საბჭოთა სარდალს, ერთ-ერთ იმ შესანიშნავ სამხედრო მოღვაწეთაგანს, რომლებმაც სტალინის წინამძღოლობით გაანადგურეს გერმანელ ფაშისტთა არმია. ცხოვრების სიმართლის თვალსაზრისით უნაკლოა სცენის ამ ბრწყინვალე ოსტატის მიერ შექმნილი როლის მთელი გარეგანი ქარგა. უნაკლოა მურავიოვის სახის მთელი შინაგანი განვითარება.

მურავიოვი თავმჯდომარეობს უდიდესი მნიშვნელობის სამხედრო თათბირს. მან ეს არის ჩამოაყალიბა მტერზე გადამწყვეტი შეტევის გეგმა. ამ დროს იგი იღებს წერილს, რომ მისი საყვარელი მეუღლე, რომელსაც იგი დაღუპულად სთვლიდა, ცოცხალია. ხორავა მურავიოვს აძლევს რამდენიმე წამს, რომლის დროსაც მურავიოვს უფლება აქვს ყურადღება ჩამოაშოროს სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტას. და ამ ხანმოკლე წამს, როდესაც მურავიოვი ფიქრით მთლიანად ცოლთან არის, მსახიობი ნამდვილი ადამიანური ბედნიერებით ავსებს, რასაც მაყურებლები გრძნობენ მისი თვალების გაბრწყინებითაც, მის თითქოს ანაზდად გაახალგაზრდავებული ფიგურითაც და მისი სიტყვების კილოს სინაზითაც.

...ფრონტის შტაბში ყველანი დიდი მღელვარებით მოელიან გერმანელთა კანონადას, თუ ეს კანონადა ზუსტად 4 საათზე არ დაიწყო, რის შესახებაც აფრთხილებდა ტყვე გერმანელი, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩაიშლება მურავიოვის შთაფიქრი. ხორავა ზის, ხელები საფეთქლებზე მოუჭერია და ხანდახან დახედავს საათს. უკვე გავიდა დანიშნული დრო, მაგრამ ქვემეხთა გრიალი არ ისმის. ეს მოლოდინი აუტანელია, იგი საუკუნესავით გრძელია, და მაყურებლები გმირთან ერთად გრძნობენ ამ წუთების უსასრულო მნიშვნელობასაც და იმ ხანძარსაც, რომელიც ახლა მურავიოვის ტვინში გიზგიზებს. და როდესაც, ბოლოს, გაისმის პირველი ზალპი, ჩვენ გვჯერა ხორავა-მურავიოვის სიტყვები: „ეს ათი წუთი სიცოცხლეს უდრის!".

სპექტაკლში „გამარჯვებულნი", სადაც ა. ხორავამ და ა. ვასაძემ დიდი დამაჯერებლობისა და ძალის სახეები შექმნეს, შტაბის უფროსის გენერალ-პოლკოვნიკ ვინოგრადოვის როლს კეთილშობილური სისადავითა და სიცხადით ასრულებს გ. დავითაშვილი, ხოლო მურავიოვის ცოლის ლიზას როლს ნამდვილი გზნებითა და გრძნობით ასახიერებს ნ. ლაფაჩი. სპექტაკლში „სადგურის უფროსი" მთელი რიგი სახეები გვხიბლავენ თავისი სიმართლითა და იმ მგზნებარებით, რომელიც ქართულ ეროვნულ თეატრს ახასიათებს. მათ შორის უნდა აღინიშნოს არსენი, რომლის განსახიერებითაც ე. აფხაიძემ გვიჩვენა ქართველი ხალხის შვილის დიდსულოვნება და მომხიბვლელი იუმორი, აგრეთვე მარინე, სადგურის უფროსის ქალიშვილი, რომლის როლსაც მეტად გულწრფელად ასრულებს თ. თეთრაძე.

ხოლო იქ, სადაც მსახიობი გატაცებულია გმირის რომანტიკული მგზნებარებით და თავის მკაფიო საშუალებებს ზღუდავს ერთი მთავარი სალებავით, გვსურს შევედავოთ მას. ასე მოსდის, მაგალითად, ა. აფხაიძეს, რომელიც გენერალ კრივენკოს მარტო მგზნებარე ტემპერამენტს გადმოგვცემს („გამარჯვებულნი") და ამით ცალმხრივად წარმოგვიდგენს პიესის ერთ-ერთ მთავარ სახეს.

დიდ შემოქმედებითს სიმაღლეზე დგას რეჟისორული მუშაობა ორივე სპექტაკლში, რომლებიც დადგმულია ს. ჭელიძის („გამარჯვებულნი") და ა. ვასაძის („სადგურის უფროსი") მიერ. ყოველივე, რაც შემსრულებლებზე ითქვა, შეეხება რეჟისორებსაც, რომლებმაც გამოიჩინეს ცოცხალი თანამედროვეობის ის გრძნობა, რაც საბჭოთა პიესებზე მუშაობაში ამ შესანიშნავი ქართული თეატრის შემდგომ წარმატებათა საწინდარს წარმოადგენს.

კ. ზუბოვი

სტალინური პრემიის ლაურეატი, რსფსრ სახალხო არტისტი

(„პრავდა" 21 ივნისი).

საქართველოს მოჭიდავეთა გუნდი—სსრ კავშირის ჩემპიონი

18, 19 და 20 ივნისს მოსკოვში ჩატარდა შეჯიბრება ბერძნულ-რომაულ (ფრანგული) ჭიდაობაში სსრ კავშირის 1947 წლის პირად და გუნდურ პირველობაზე. მონაწილეობა იღებდნენ 16 მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. სამი დღის დაძაბული ბრძოლის შედეგად საქართველოს გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი და მოიგო სსრ კავშირის 1947 წლის თასი, მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის, ხოლო მესამეზე—უკრაინის გუნდი.

პირად პირველობაზე კარგ შედეგებს მიაღწიეს საქართველოს გუნდის მოჭიდავეებმა ა. ცომაკურიძემ და ვ. ილურიძემ, რომლებიც თავიანთი წონის კატეგორიაში მეორე ადგილზე გამოვიდნენ, გ. მაჩკალიანი და ლ. ძეკონსკი გამოვიდნენ მესამე ადგილებზე, ი. ბობოხიძემ დაიკავა მეოთხე, ხოლო ვ. კუხიანიძემ მეხუთე ადგილი.

საქართველოს გუნდს და გამარჯვებულ მოჭიდავეებს გადაეცათ სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის სიგელები და ფულადი ჯილდოები.

უშიშროების საბჭოს სხდომა

ნიუ-იორკი, 20 ივნისი. (საქტასი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ 9 ხმით მოიწონა (საბჭოთა კავშირმა წინააღმდეგ მისცა ხმა, ხოლო საფრანგეთმა თავი შეიკავა) ინგლისის თხოვნა, რომ საბჭო შეუდგეს ტრიესტის გუბერნატორის არჩევის საკითხის განხილვას. შემდეგ გადაწყდა გამართოს დახურული სხდომა ამ საკითხის განსახილველად.

სხდომაზე პირველი გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ა. ა. გრომიკო, რომელმაც კვლავ განაცხადა, რომ საბჭოს არ შეუძლია განიხილოს გუბერნატორის დანიშვნის საკითხი, ვიდრე რატიფიცირებულ არ იქნება იტალიასთან ხელშეკრულება. მან სთქვა, რომ დისკუსია საბჭოში ფუჭი იქნება, ვიდრე საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში შემავალი ოთხი სახელმწიფო გადაწყვეტილებას მიიღებდეს.

ინგლისის, ავსტრალიისა და ამერიკის დელეგატებმა აღიარეს, რომ დანიშვნა უნდა მოჰყვეს ხელშეკრულების რატიფიკაციას, მაგრამ დაჟინებით მოითხოვდნენ, რათა წინასწარი განხილვა ისე მოხდეს, რომ გუბერნატორს შეეძლოს შეუდგეს თავის მოვალეობათა შესრულებას ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე.

ამის საპასუხოდ გრომიკომ განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა, ისევე როგორც სხვა მთავრობები, დაინტერესებულია იმით, რომ გუბერნატორი დანიშნულ იქნას ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე, მაგრამ განხილვა უნდა სწარმოებდეს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ დაწესებული ნორმალური პროცედურის შესაბამისად.

შემდეგ განახლდა კამათი სამხედრო-საშტაბო კომიტეტის მოხსენების შეთანხმებული ნაწილების გამო. წინა სხდომაზე კამათი მე-5 და მე-6 მუხლების გამო, რომლებიც შეეხება უშიშროების საბჭოსათვის გადასაცემი შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებულ პრინციპებს, უშედეგო იყო.

ბელგიის წარმომადგენელმა ვან ლანგენჰოვემ წინადადება შეიტანა რამდენადმე შეიცვალოს მე-6 მუხლი იმ საფუძველზე, რომ შეიარაღებული ძალები უშიშროების საბჭოს ფაქტიურად მხოლოდ მას შემდეგ გადაეცემა, როცა საბჭო ამ ძალებს მოითხოვს რომელიმე გარკვეულ შემთხვევაში გამოსაყენებლად. ვან ლანგენჰოვეს სიტყვით, ასეთი მოთხოვნის მიღებამდე ძალები მხოლოდ „სავალდებულო წესით რეზერვში იქნებიან". ამიტომ, ვან ლანგენჰოვეს სიტყვით, საჭიროა მე-6 მუხლი შესწორდეს ისე, რომ მასში ლაპარაკი იყოს იმ ძალებზე, რომლებიც უშიშროების საბჭოს „მისი მოთხოვნით" გადაეცემა.

პაროდიმ განაცხადა, რომ ამ განსხვავებას მნიშვნელობა აქვს. მაგრამ გრომიკომ შენიშნა, რომ ბელგიის შესწორება და განმარტება ნათელი არ არის, მაშინ როდესაც მე-6 მუხლი მისი ახლანდელი ფორმით გასაგებია (მე-6 მუხლში ნათქვამია, რომ უშიშროების საბჭოსათვის გადასაცემი ძალები შეზღუდულ უნდა იქნას იმ რაოდენობამდე, რაც საჭიროა აგრესიის წინააღმდეგ სწრაფი მოქმედებისათვის მსოფლიოს ყოველ ნაწილში).

შემდეგ პაროდიმ წინადადება შეიტანა ბელგიის შესწორებისათვის კენჭისყრა გადაიდოს შემდეგ სხდომამდე, რათა შესაძლებელი იყოს მისი შესწავლა.

ხანმოკლე განხილვის შემდეგ საბჭომ სწრაფად მოიწონა მოხსენების დანარჩენი შეთანხმებული მუხლები, გარდა სამისა, რომელთა შესახებ ვან ლანგენჰოვემ წინადადება შეიტანა შესწორებულ იქნან იმგვარადვე, როგორც მე-6 მუხლი.

სამხედრო-საშტაბო კომიტეტის მოხსენების გამო კამათის შემდეგ პაროდიმ განაცხადა, რომ თავისი თხოვნის პასუხად მან ეს-არის მიიღო თავმჯდომარის მაკნერნის მეორე წერილი, რომელშიც განმარტებულია სადავო მე-5 და მე-6 მუხლები. მაკნერნის წერილში, რომელიც წაკითხულ იქნა საბჭოში, აღნიშნულია, რომ მე-5 და მე-6 მუხლები განხილულ უნდა იქნას შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობის შესახებ იმავე თავის სხვა მუხლებთან ერთად. წერილში აღნიშნულია, რომ ქვეკომიტეტი, რომელიც ამჟამად არაოფიციალურად განიხილავს შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობის საკითხს, 30 ივნისისათვის წარუდგენს მოხსენებას სამხედრო-საშტაბო კომიტეტს. შემდეგ წერილში ნათქვამია, რომ საბჭოთა დელეგაციას მონაწილეობა არ მიუღია ამ განმარტების შემუშავებაში, ვინაიდან ამის შესახებ თხოვნა არ წარმოადგენდა მთლიანად უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას და რომ, როცა ოთხი სხვა დელეგატი დაეთანხმა თავმჯდომარის დადგენილებას იმის შესახებ, რომ ეს არის პროცედურის საკითხი და არა არსებითი საკითხი, საბჭოთა დელეგატმა დასტოვა სამხედრო-საშტაბო კომიტეტის სხდომა.

წერილის გამოქვეყნების შემდეგ პაროდიმ წინადადება შეიტანა გადაიდოს მისი განხილვა შემდეგ სხდომამდე.

გრომიკომ განაცხადა, რომ რამდენადაც სამხედრო-საშტაბო კომიტეტისათვის უშიშროების საბჭოს განსახილველად არ გადაუცია ავსტრალიის დელეგატის მიერ აღძრული საკითხები, ცხადია, რომ სამხედრო-საშტაბო კომიტეტს არაფერი აქვს განსახილველი. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა წარმომადგენელი თავისთვის სავალდებულოდ არა სთვლის იმ პასუხებს, რომლებიც ავსტრალიის წარმომადგენელს სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა სამხედრო-საშტაბო კომიტეტში მისცეს.

შემდეგ საბჭოს სხდომა დაიხურა.

ომის ვეტერან ამერიკელ კომუნისტთა პროტესტი

ნიუ-იორკი, 19 ივნისი. (საქტასი). კომპარტიის წევრ ომის ვეტერანთა ორგანიზაციამ სამხედრო მინისტრ პატერსონს და გენერალური შტაბის უფროსს ეიზენჰაუერს პროტესტი გაუგზავნა იმის წინააღმდეგ, რომ სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა ბროშურა, რომელშიც ლაპარაკია „კომუნიზმის საფრთხის შესახებ". პროტესტის ავტორები ამ ბროშურას უწოდებენ ცილისწამებას იმ 15 ათასი კომუნისტის მიმართ, რომელნიც ამერიკის შეიარაღებულ ძალებში მსახურობდნენ, და აღნიშნავენ, რომ ბროშურა შედგენილია „ჰიტლერული მასალიდან, რათა დაფარონ მრავალი იმპერიალისტური ცოდვა", და დაჟინებით მოითხოვენ ბროშურის დაუყოვნებლივ ამოღებას. პროტესტში მოყვანილია განცხადება ომის დროს ამერიკის არმიის სამხედრო დაზვერვის განყოფილების ხელმძღვანელად ნამყოფ გენერალ-მაიორ ბისელისა, რომელმაც სთქვა, რომ კომუნისტმა ოფიცრებმა ლოიალობა ცხადჰყვეს და „საქმით დაგვანახვეს, რომ იარაღით ხელში ემსახურებიან ამერიკის შეერთებულ შტატებს".

პროტესტის ავტორები უარჰყოფენ ბროშურაში მოყვანილ ბრალდებას—კომუნისტები უცხო სახელმწიფოთა აგენტები არიანო და დასასრულ იძლევიან კითხვას, თუ ოპოზიცია ეგრეთწოდებულ „ტრუმენის დოქტრინაში" კომუნისტებს უცხო სახელმწიფოთა აგენტებად ხდის, მაშინ ამერიკელი ხალხის 60 პროცენტი, რომელიც, ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, უარჰყოფდა „ტრუმენის დოქტრინას", აგრეთვე უცხოეთის აგენტები ყოფილა.

ინგლისის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ლისადმი მარშალის გეგმის თაობაზე

ნიუ-იორკი, 21 ივნისი. (საქტასი). ინგლისის ავტორიტეტული წრეების წარმომადგენელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ინგლისის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კადოგანმა გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ლის გადასცა საგარეო საქმეთა მინისტრ ბევინის პირადი მიმართვა; ბევინი აცნობებს ლის, თუ როგორ მიმდინარეობს პარიზში მარშალის გეგმის განხილვა. მიმართვაში ნათქვამია, რომ მოლაპარაკების დროს მხედველობაში იღებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლს, მაგრამ, რადგან ეს საკითხი განსაკუთრებით სასწრაფოა, ბევინმა მიზანშეწონილად მიიჩნია გამოეჩინა დაუყოვნებლივი ინიციატივა ფრანგებთან კონსულტაციისათვის, როგორც საჭირო პირველი ნაბიჯი. მიმართვაში ნათქვამია აგრეთვე, რომ ინგლისელები და ფრანგები მოელიან ვ. მ. მოლოტოვის პასუხს განხილვასადმი შეერთების წინადადებაზე.

დასასრულ მიმართვაში ნათქვამია, რომ ლის აცნობებს, ამბები როგორ განვითარდება. ამ პირმა, რომელმაც ეს პრესის წარმომადგენლებს აცნობა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს მიმართვა ბევინმა თავისი საკუთარი ინიციატივით გაგზავნა ბიდოს მიერ მონაწილეობის მიუღებლად.

გენერალ კლეის განცხადება შახტის გეგმის შესახებ

ნიუ-იორკი, 21 ივნისი. (საქტასი). ამერიკულ პრესაში მოყვანილია იუნაიტედ პრესის სააგენტოს მაინის ფრანკფურტელი კორესპონდენტის ცნობა, რომ გერმანიაში ამერიკის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა კლეიმ პრეს-კონფერენციაზე დაადასტურა ცნობა, რომ დაზვერვის ორგანოებმა დაკითხეს სამხედრო დამნაშავე იალმარ შახტი გერმანიის აღორძინების მისი „საიდუმლო გეგმის" შესახებ. კლეიმ აღნიშნა, რომ მას არა აქვს განზრახული გამოიყენოს შახტის ეკონომიური წინადადებანი. მაგრამ დაზვერვის ოფიცრები, რომლებმაც შახტი დაკითხეს, ამტკიცებენ, რომ „შახტის იდეა გერმანიის მეურნეობის სტაბილიზაციის შესახებ სერიოზულად იქნება განხილული".

გენერალ კლეის განცხადებამდე ხელისუფალნი უარჰყოფდნენ, რომ შახტის დაკითხვა სწარმოებდა.

გ. მ. დიმიტროვის გამოსვლა დიდი სახალხო კრების სხდომაზე

სოფია, 22 ივნისი. (საქტასი). ბულგარეთის დიდმა სახალხო კრებამ 20 ივნისს მიიღო უმაღლესი განათლების რეფორმის კანონი და დაამტკიცა მთელი რიგი სხვა კანონპროექტები. ამის შემდეგ სიტყვა მიეცა პრემიერ-მინისტრ გ. მ. დიმიტროვს.

დიდმა სახალხო კრებამ, სთქვა დიმიტროვმა, პირველი წაკითხვით მიიღო კონსტიტუციის პროექტი. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ უკვე გვაქვს ჩვენი სახალხო რესპუბლიკის ძირითადი კანონი. მეორე და მესამე წაკითხვის დროს მისი განხილვისას შეიძლება შეტანილ იქნას ერთგვარი შესწორება-ცვლილებანი, მაგრამ ახალი კონსტიტუციის ძირითადი დებულებანი არ შეიცვლება. დიდმა სახალხო კრებამ მიიღო აგრეთვე მთელი რიგი სხვა კანონპროექტები, რომლებიც საჭიროა უახლოესი პერიოდისათვის. ახლა, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ უნდა ავიღოთ მოსავალი, უზრუნველვყოთ კვება მოსახლეობისათვის და ფურაჟი საქონლისათვის. ხელსაყრელ სამშენებლო სეზონთან დაკავშირებით გაძლიერებული მუშაობა მოგველის აგრეთვე ორწლიანი სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმის სარეალიზაციოდ. მთავრობა იმ აზრისაა, რომ დეპუტატები ხალხში და თავიანთ ამომრჩევლებში უნდა იყვნენ. ამიტომ მთავრობას წინადადება შემოაქვს სექტემბრის შუა რიცხვებამდე გადაიდოს დიდი სახალხო კრების სხდომები.

დიმიტროვის წინადადებას კენჭი უყარეს და მიიღეს.

დიდი სახალხო კრების შემდეგი სხდომა შესდგება 16 სექტემბერს.

ბულგარეთის ახალი კონსტიტუციის პროექტი მიღებულია პირველი წაკითხვით

სოფია, 21 ივნისი. (საქტასი). გუშინ დიდ სახალხო კრებაში დამთავრდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის განხილვის პირველი ეტაპი. სხდომის დამსწრე 366 დეპუტატიდან კონსტიტუციის პროექტის მიღებას ხმა მისცა 292 დეპუტატმა. კენჭისყრაში თავი შეიკავა ოპოზიციის 74 დეპუტატმა.

ამრიგად, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი მიღებულ იქნა პირველი წაკითხვით.

გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის პრემიერ-მინისტრთა დეპეშა საკონტროლო საბჭოსადმი

ბერლინი, 21 ივნისი. (საქტასი). გერმანულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ადნის სააგენტოს ცნობა დრეზდენიდან იმის შესახებ, რომ ოკუპაციის საბჭოთა ზონის მხარეების პრემიერ-მინისტრებმა მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოს ბერლინში გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

პრესის ცნობით, ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის საოკუპაციო ზონების პრემიერ-მინისტრებმა საკონტროლო საბჭოს სთხოვეს მიიღონ ისინი მიუნხენში შემდგარ პრემიერ-მინისტრთა კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დასასაბუთებლად.

ჩვენ ვთხოვთ მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოს მიიღოს აგრეთვე საბჭოთა საოკუპაციო ზონის პრემიერ-მინისტრების ორი წარმომადგენელი და მისცეს მათ შესაძლებლობა, დაასაბუთონ გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობის აღდგენის წინადადებანი.

ჩვენ ვნიშნავთ პრემიერ-მინისტრებს დოქტორ კარლ შტაინჰოფს (პოტსდამი, ბრანდენბურგი) და ვილჰელმ ჰეკერს (შვერინი, მეკლენბურგი) ჩამოსაყვანლად და დაასაბუთონ წინადადებანი ჩვენი სახელით.

თუ მოკავშირეთა საკონტროლო საბჭო ნებას დართავს, რომ სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღონ, ჩვენ გთხოვთ გვაცნობოთ, რამდენი ექსპერტი შეიძლება გაიგზავნოს დასახელებულ ორ პიროვნებასთან ერთად.

მიმართვას ხელს აწერენ ბრანდენბურგის პრემიერ-მინისტრი შტაინჰოფი — პროფესორი დოქტორი, ტიურინგიის პრემიერ-მინისტრი პაული, მეკლენბურგის პრემიერ-მინისტრი ვილჰელმ ჰეკერი, საქსონია-ანჰალტის პრემიერ-მინისტრი ჰიუბენერი და საქსონიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ფიშერი.

ბიდოს განცხადება საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 21 ივნისი. (საქტასი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის ეროვნულ კრებაში სიტყვა წარმოსთქვა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბიდომ.

კერძოდ, ბიდომ ქებით მოიხსენია მარშალის გეგმა. მან განაცხადა, რომ ამჟამად „არის შემთხვევა კრედიტების მიღებით გატაცება ევროპის თანამშრომლობით შეიცვალოს".

ავსტრიის ხელშეკრულების საკითხთა კომისიაში

ვენა, 21 ივნისი. (საქტასი). ექვსი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც მუშაობა დაიწყო ავსტრიის ხელშეკრულების საკითხთა კომისიამ. ამ ხნის განმავლობაში კომისიამ ოცზე მეტი სხდომა გამართა, და ყველა ეს სხდომა მიძღვნილი იყო საპროცედურო საკითხებზე უნაყოფო დისკუსიისადმი, რომელშიც განსაკუთრებულ აქტიურობას ამერიკელი დოჯი იჩენდა.

განვლილი დროის მანძილზე საბჭოთა დელეგაცია ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ბოლო მოეღო კომისიის ამ უმოქმედობისათვის და დაეწყო ხელშეკრულების შეუთანხმებელ მუხლთა პრაქტიკული განხილვა. როგორც ცნობილია, ავსტრიის ხელშეკრულების ძირითადი შეუთანხმებელი მუხლები, რომლებიც საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ კომისიის განსახილველად გადასცა, არის: მე-16 მუხლი ავსტრიაში ადგილგადანაცვლებულ პირთა შესახებ, 35-ე მუხლი გერმანიის აქტივების შესახებ, 42-ე მუხლი გაერთიანებული ერების საკუთრების შესახებ და მთელი რიგი სხვა მუხლები.

საბჭოთა დელეგაციამ ჯერ კიდევ კომისიის პირველ სხდომებზე შეიტანა პროექტი, რომელიც წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ შედგომოდნენ ამ მუხლების განხილვას და დაეწყოთ ავსტრიაში გერმანიის აქტივების საკითხის განხილვით. საბჭოთა დელეგაციის პროექტი ითვალისწინებდა, რომ კომისიის განხილვის საგანი იქნება ისეთი ობიექტები, როგორიცაა ნავთის მრეწველობა, დუნაის ნაოსნობა, საფინანსო და სადაზღვევო დაწესებულებანი და მრეწველობის სხვა დარგები. საბჭოთა დელეგაცია თანახმა იყო კომისიაში პირველ რიგში განეხილათ უმნიშვნელოვანესი შეუთანხმებელი მუხლები და მზად იყო ამ მიზნით განეხილა კომისიაში კონკრეტული ფაქტები, რომლებიც შეეხება გერმანულ აქტივებს იმ ვარაუდით, რომ საჭირო შემთხვევებში კომისიამ გადასწყვიტოს თუ ამ ფაქტთაგან რომელს ესაჭიროება ნამდვილად შემდგომი შესწავლა ექსპერტების კომიტეტში.

საბჭოთა დელეგაციის ამ წინადადების მიღება საშუალებას მისცემდა კომისიას დაუყოვნებლივ შესდგომოდა საქმიან მუშაობას, მაგრამ ამერიკის დელეგაციის მეთაური დოჯი, ინგლისის დელეგატ რენდელის მხარდაჭერით, 20 სხდომის მანძილზე შეუპოვრობას იჩენდა და არ თანხმდებოდა, რომ კომისიაში განეხილათ ეს მუხლები, ისევე როგორც ავსტრიის ხელშეკრულების სხვა შეუთანხმებელი მუხლები, ამასთან ყოველნაირად ახვევდა თავს კომისიას მის მიერ მოგონილს კომისიის მუშაობის სხვა ხერხს. ამერიკის დელეგატი პირველად იმასაც კი მოითხოვდა დაჟინებით, რომ კომისიამ საერთოდ თავისი მუშაობა არ უნდა დაიწყოს, სანამ ექსპერტთა კომიტეტი არ განიხილავს ავსტრიაში გერმანიის აქტივების ცალკეულ ობიექტებს და არ წარადგენს თავის დასკვნებს კომისიის განსახილველად.

ამრიგად, ამერიკისა და ბრიტანეთის წარმომადგენელნი ცდილობდნენ ექსპერტთა კომიტეტი დაეპირისპირებინათ კომისიისათვის და გაეხადათ იგი კომისიისაგან დამოუკიდებელ ორგანოდ, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებას. როგორც დოჯი, ისე რენდელი ცდილობდნენ მოეხსნათ პასუხისმგებლობა კომისიის მუშაობის დაყოვნებისათვის და არც იმას ერიდებოდნენ, რომ ავსტრიის პრესაში არა ერთგზის გაეკეთებინათ ტენდენციური განცხადებანი, ამასთან ამახინჯებდნენ საბჭოთა დელეგაციის პოზიციას.

დოჯისა და რენდელის მისწრაფებამ, რადაც უნდა დამჯდარიყო, კომისიის სხვა წევრებისათვის თავს მოეხვიათ თავიანთი წინადადებანი ექსპერტთა კომიტეტის კომპეტენციის შესახებ, მთელი ექვსი კვირით დააყოვნა კომისიის მუშაობა.

მხოლოდ კომისიის 21-ე სხდომაზე, რაც 18 ივნისს შესდგა, უმნიშვნელო შესწორებებით მიიღეს საბჭოთა დელეგაციის წინადადება და დასასრულ კომისია შეუდგა ავსტრიის ხელშეკრულების 35-ე მუხლის განხილვას, ამასთან დაიწყო ავსტრიაში გერმანიის აქტივების საკითხის განხილვა. კომისიაში განხილვის საგანი 1-ელ რიგში იქნება ნავთის მრეწველობა, დუნაის ნაოსნობა, საფინანსო დაწესებულებანი, მრეწველობის სხვა დარგები და სახელმწიფო საკუთრება.

უახლოესი სხდომები ცხადჰყოფენ, ამერიკისა და ბრიტანეთის დელეგაციები აპირებენ ხელი შეუწყონ კომისიის წარმატებით მუშაობას, რათა მას შეეძლოს შეასრულოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ მისთვის დაკისრებული ამოცანა, თუ ისინი წინანდებურად ეცდებიან რევიზია გაუკეთონ მოკავშირეების მიერ წინათ მიღებულ ერთობლივ გადაწყვეტილებებს გერმანიის აქტივების საკითხზე, რითაც შეაფერხებენ ავსტრიასთან ხელშეკრულების მომზადებას.

პეტრუ გროზას განცხადება

ბუქარესტი, 21 ივნისი. (საქტასი). გაზეთმა „[illegible]" [illegible] პეტრუ გროზას [illegible] „[illegible] ტის მიერ წარმოდგენილი ეკონომიური აღდგენის პროგრამა, — განაცხადა გროზამ, — მოიწონა მთავრობის ყველა პარტიამ. ეს პროგრამა არის მოფიქრებული გეგმა, რომელიც წარმოშვა რუმინეთის ეკონომიური მდგომარეობის ღრმად შესწავლის შედეგად. სრული სოლიდარობა, რომლითაც პროგრამას შეხვდნენ, იმის მოწმობს, რომ ჩვენ ვადგავართ სწორ გზას, რომელსაც მივყავართ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და საფინანსო ცხოვრების აღდგენისაკენ. ცხადია, ჩვენს წინაშე ჯერ კიდევ უდიდესი სიძნელეებია. პროგრამის განხორციელება დამოკიდებულია არა მარტო ჩვენზე, არამედ ყველა იმაზე, ვინც ადგილობრივ მისი შესრულებისათვის იბრძოლებს. ყველა კეთილმოსურნე ადამიანმა ხელი უნდა შეგვიწყოს. დროა ბოლო მოეღოს საბოტაჟსა და სპეკულაციას".

რუმინეთის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე

ბუქარესტი, 21 ივნისი. (საქტასი). რუმინეთის მინისტრთა საბჭომ განიხილა და მიიღო მთელი რიგი კანონპროექტები, მათ შორის ეკონომიური კონტროლის ორგანიზების, ორი სახელმწიფო საქციო საზოგადოებად ყველა სახელმწიფო საწარმოთა კონცენტრაციის კანონპროექტი, სამხედრო დამნაშავეთა სამართალში მიცემის კანონპროექტი და სხვა.

ყველა ეს კანონპროექტი წარდგენილ იქნება რუმინეთის პარლამენტის განსახილველად.

ირანის ახალი მთავრობა

თეირანი, 21 ივნისი. (საქტასი). დღეს კავამ ეს-სალტანემ შაჰს წარუდგინა მის მიერ შედგენილი ირანის ახალი მთავრობა. წინანდელი მთავრობის ოთხმა მინისტრმა, სახელდობრ: სამხედრო მინისტრმა გენერალმა ამჰედიმ, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ეგბალმა, გზათა მინისტრმა ფორუჰარ გულამ ჰოსეინმა და ფინანსთა მინისტრმა აბდულ ჰუსეინ ჰაჟირმა, იგივე პოსტები დაიკავა ახალ მთავრობაში. განათლების მინისტრის პორტფელი მიიღო დოქტორმა სადიყ ისამ, საგარეო საქმეთა მინისტრისა — ანუშირვან სეპაჰბოდიმ, შრომისა და პროპაგანდის მინისტრისა — სალმან ასადიმ, იუსტიციის მინისტრისა — ადილ მანსურ-ეს-სალტანემ, შინაგან საქმეთა მინისტრისა — ალ-ოველმ, ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრისა—ნასრ სეიდ ალიმ, მიწათმოქმედების მინისტრისა — აჰმედ ჰუსეინ ადლმა.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო შევიდა ეროვნული ეკონომიკის ახალ სამინისტროში, რომელსაც სათავეში ჩაუდგება აბდულ ჰასან სადეკი. უპორტფელო მინისტრები არიან: ალი ასკერ ჰიქმეთი, ჰუმაიუნჯანი და მუსავიზადე.

საბერძნეთ-ამერიკის შეთანხმება

ათენი, 22 ივნისი. (საქტასი). პრესაში გამოქვეყნდა ათენში 20 ივნისს ხელმოწერილი საბერძნეთ-ამერიკის შეთანხმების ტექსტი. ამ შეთანხმების მიხედვით, საბერძნეთის მთავრობა ვალდებულებას კისრულობს ეფექტიანად გამოიყენოს არა მარტო ამერიკის დახმარება, არამედ საბერძნეთის საკუთარი რესურსებიც, ამასთან ამერიკის მისია „რჩევას" მისცემს საბერძნეთის მთავრობას როგორც ერთის, ისე მეორის გამოყენების შესახებ. „ამერიკის მისიის უფროსი, — ნათქვამია შეთანხმების მე-4 მუხლში, — მოითათბირებს საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენლებთან, განსაზღვრავს იმ ვადებსა და პირობებს, რომლებითაც დროდადრო გაიცემა გარკვეული დახმარება ამ შეთანხმებით". მე-7 მუხლში დათქმულია ამერიკელ ჟურნალისტთა თავისუფლება — თვალყური ადევნონ „დახმარების პროგრამის" გატარებას. მე-8 მუხლის თანახმად საბერძნეთის მთავრობა ვალდებულებას კისრულობს ყოველი ღონე იხმაროს, რასაც მას მიუთითებენ, რათა უზრუნველყოფილ იქნას ინფორმაციის სამსახურის გარკვეული მასალების საიდუმლოება და არ შეატყობინოს ეს საიდუმლოება უცხოელებს შეერთებული შტატების პრეზიდენტის ნებადაურთველად. საბერძნეთის მთავრობა ვალდებულებას კისრულობს არ გამოიყენოს ამერიკის დახმარება უცხოელთა ვალის, ან ამ ვალის პროცენტების გასასტუმრებლად. მე-10 მუხლი ითვალისწინებს, რომ დახმარების გაწევა შეიძლება შეწყდეს საბერძნეთის მთავრობის თხოვნით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ყველა სხვა პირობით, ან იმ შემთხვევაში, როცა შეერთებული შტატების პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ დახმარების შეწყვეტა შეესაბამება შეერთებული შტატების ინტერესებს და დასასრულ იმ შემთხვევაში, თუ საბერძნეთის მთავრობა არ განახორციელებს საბერძნეთის მთავრობის 15 ივნისის ნოტაში ჩამოთვლილ ღონისძიებებს, ან რაიმე სხვა ღონისძიებებს, რომელთა შესახებაც მიღწეულ იქნება თანხმობა.

მემარჯვენე გაზეთების უმრავლესობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ შეთანხმებით დაიწყება საბერძნეთის „ახალი ერა".

გაზეთი „ელინიკონ ემა" აღნიშნავს, რომ პირობები, რომლებითაც ეძლევა დახმარება, ბოჭავს საბერძნეთს.

გაზეთ „ელეფთერიის" აზრით, ამერიკის პროგრამას წარმატება არ ექნება, თუ ახლანდელი პარლამენტი არ დაითხოვეს და ახალი მთავრობა არ შეიქმნა.

გაზეთი „ტა ნეა" აღნიშნავს, რომ ეს შეთანხმება საბერძნეთის მიერ ოდესმე ხელმოწერილ ყველა შეთანხმებაზე უფრო მძიმეა. „შეთანხმების მუხლები, — სწერს გაზეთი, — ხელ-ფეხს უბორკავს საბერძნეთს და ამერიკის სრულ განკარგულებაში აყენებს მას".

გაზეთი „ელეფთერი ელადა" სწერს, რომ 20 ივნისს ხელმოწერილი დოკუმენტი შეთანხმება კი არ არის, „არამედ ტრუმენის ბრძანებაა, რომელსაც ხელი მოაწერეს მისმა ადგილობრივმა ლაქიებმა". „თავისუფალი ბერძენი ხალხი,— აცხადებს გაზეთი, — არასოდეს არ მოაწერდა ხელს დოკუმენტს, რომელიც საბერძნეთს სპობს როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს".

ხალხი, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „რიზოსპასტისი", არასოდეს არ აპატიებს ახლანდელ მმართველთა საბერძნეთის დამოუკიდებლობის გაყიდვას.

საბერძნეთის ახალი პროვოკაციები ალბანეთის საზღვარზე

ტირანა, 21 ივნისი. (საქტასი). ალბანეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება საბერძნეთის ახალ პროვოკაციათა შესახებ ალბანეთის საზღვარზე.

15 ივნისს ნაშუადღევს შვიდმა ბერძენმა ჯარისკაცმა სროლა აუტეხა ალბანეთის ტერიტორიის დასახლებულ პუნქტ ლიბოხოვის ახლოს. მეორე დღეს იმავე რაიონში ბერძენი მესაზღვრეები ცდილობდნენ ახალი სროლა გამოეწვიათ პროვოკაციით. ალბანელმა მესაზღვრეებმა პასუხი არ გასცეს ბერძენთა პროვოკაციას. 17 ივნისს დილისით ალბანეთის დასახლებულ პუნქტ ლესკოვიკზე საბერძნეთის სამხედრო თვითმფრინავი დაფრინავდა.

„ფაინენშლ ტაიმსი" „მარშალის გეგმის" შესახებ

ლონდონი, 22 ივნისი. (საქტასი). გაზეთ „ფაინენშლ ტაიმსის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ, შესაძლოა, სენატორ ვანდენბერგის წინადადებით მალე შეიქმნას საკონსულტაციო საბჭო უცხო სახელმწიფოებისათვის დახმარების გაწევის პროგრამის განსახორციელებლად და იმის შესამოწმებლად, თუ რა დახმარება ესაჭიროებათ ამ სახელმწიფოებს. კორესპონდენტის სიტყვით, ვანდენბერგი ამ კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანს ჰუვერსა და ბარუხს, აგრეთვე, შესაძლოა, ყოფილ სენატორს რობერტ ლაფოლეტს და საბანკო წრეების წარმომადგენელს რანდოლფ ბარჯესს. შესაძლოა, რომ ჰუვერი იქნება ამ ნავარაუდევი კომიტეტის თავმჯდომარე.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის მუშაობისათვის

ფხენიანი, 21 ივნისი. (საქტასი). სეულში გამოქვეყნდა ცნობა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის სხდომის შესახებ, რომელიც შესდგა 18 ივნისს გენერალ-მაიორ ალბერტ ე. ბრაუნის თავმჯდომარეობით.

თავის სხდომაზე კომისიამ განიხილა საბოლოო დეტალების საკითხი, რომლებიც შეეხება კორეის დემოკრატიულ პარტიათა და საზოგადო ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან თავდაპირველ შეხვედრას 1947 წლის 25 ივნისს. სხდომა შესდგება კორეის დროებითი საკანონმდებლო პალატის საკანონმდებლო დარბაზში გენერალ-პოლკოვნიკ შტიკოვის თავმჯდომარეობით. გენერალ-მაიორი ალბერტ ბრაუნი ერთობლივი კომისიის სახელით მისალმებით მიმართავს პალატის წარმომადგენლებს. ამ სხდომის მიზანია დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენელთ გააცნოს ერთობლივი კომისიის წევრები და ხსენებულ წარმომადგენელთ გააცნოს სიტყვიერი კონსულტაციის მიზანი და პროცედურა.

ანალოგიური სხდომა შესდგება ფხენიანში 1947 წლის 30 ივნისს. თავმჯდომარედ იქნება გენერალი ალბერტ ბრაუნი, ხოლო გენერალი შტიკოვი ერთობლივი კომისიის სახელით მისალმებით მიმართავს ჩრდილოეთ კორეის დემოკრატიული პარტიისა და საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

24 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელთათვის შესდგება ამხ. **კალინინას** კონსულტაცია.

24 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საწარმოთა დირექტორებისა და ინჟინრებისათვის შესდგება დოცენტ **ვ. ბახტაძის** ლექცია თემაზე: **„შრომის სოციალისტური ორგანიზაცია და ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის".**

25 ივნისს, საღამოს 8 საათზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„ი. ბ. სტალინის ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი"".** სემინარს უხელმძღვანელებს ამხ. **ლ. გეგეშიძე.**

25 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ლექტორების, მომხსენებლებისა და პროპაგანდისტებისათვის შესდგება ამხ. **პავჩინსკის** კონსულტაცია თემაზე: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა"** (15 დღის მიმოხილვა).

სემინარი

ოთხშაბათს, 25 ივნისს, დღის 3 საათზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტში (ძერჟინსკის ქ. № 8) შესდგება გეოფიზიკური სემინარი, რომელზეც მოხსენებას წაიკითხავს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ი. დ. ბულანჟე შემდეგ თემაზე: **„სეისმოლოგიური ინსტიტუტის ხამუშაოების შესახებ შუა აზიის მიწისძვრების კომპლექსური შესწავლის დარგში".**

კინოები

24 ივნისს: რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი", „კომკავშირელი" (საზაფხულო და ზამთრის), 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — „ზოლუშკა"; „ამირანი" (ზამთრის) — „უკანასკნელი ღამე", (საზაფხულო) — „სიმღერა რუსეთზე".

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა

24 ივნისს

რადიოსადგურით 1154 მეტრ ტალღაზე და ქალაქის ხატრანსლაციო ქსელით:

9.15 — ლიტერატურული გადაცემა. ნაწყვეტი ჩ. ქორქიას მოთხრობიდან „მზე წითლად ამოდიოდა".

რადიოსადგურებით 1154 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის ხატრანსლაციო ქსელით:

17.20 — ქართული ხალხური სიმღერები. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.20 — კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტის გალინოვას შესრულებით. 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.30 — კომედიური მუსიკის კონცერტი. 20.45 — ნარკვევი თემაზე „ტყვის მთა". 21.05 — კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის გუნდის შესრულებით. 21.20 — ლიტერატურული გადაცემა რუსულ ენაზე. ადგილები სტალინური პრემიის ლაურეატის სიმონ ჩიქოვანის პოემიდან „სიმღერა დავით გურამიშვილზე". 23.00 — ქართული მუსიკის კონცერტი.

თბილისის საავიაციო ტექნიკუმი აცხადებს 1947-48 სასწავლო წლისათვის 8-9-10-11 კლასდამთავრებულების მიღებას პირველ, მეორე და მესამე კურსებზე.

ტექნიკუმი ამზადებს:

1. ტექნიკოს-მექანიკოსებს — თვითმფრინავთა მშენებლობაში, 2. ტექნიკოს-ტექნოლოგებს—ლითონის დამუშავებაში, 3. ელექტრო-ტექნიკოსებს—სამრეწველო საწარმოთა ელექტროფიცირებაში.

სწავლების ხანგრძლივობა ყველა სპეციალობაზე 4 წელი, საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულთათვის 2 წელი.

განცხადებების მიღება სწარმოებს 31 ივლისამდე.

ტექნიკუმში შემომსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განცხადება, 2. ავტობიოგრაფია, 3. 8-11 კლასის დამთავრების ატესტატი ან და 9-10 კლასის დამთავრების ცნობა, 4. დაბადების მოწმობა, 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 6. სამი ფოტოსურათი და 7. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ.

ტექნიკუმში გამოცდელად ჩაირიცხებიან ფრიადოსნები და 10-11 კლასდამთავრებულები, დანარჩენები აბარებენ გამოცდებს: მშობლიურ ენაში, რუსულ ენაში (ქართული განყოფილება), მათემატიკასა და კონსტიტუციაში.

გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

ტექნიკუმში ჩარიცხული სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით, აგრეთვე სამრეწველო და სასურსათო საქონლით ქარხნის მუშების თანაბრად.

პროვინციიდან ჩამოსულებს მიეცემათ საცხოვრებელი ბინის ქირა, ტექნიკუმის კურსდამთავრებულნი ჩაირიცხებიან დაუსწრებელ საავიაციო ინსტიტუტში, რომელიც გახსნილია თბილისის საავიაციო ტექნიკუმთან.

ყველა საჭირო ცნობის მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში შემდეგი მისამართით: თბილისი, კამოს ქ. № 70, ტელეფონი 3-21-43, 3-64-03, 3-27-17.

დირექცია

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 1947-48 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. ფიზიკა-მათემატიკის (სპეციალობა: მათემატიკა და ფიზიკა), 2. ბუნებისმეტყველების, 3. ისტორიის, 4. გეოგრაფიის, 5. ენისა და ლიტერატურის: ა) ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე (სპეციალობა: ქართული ენა და ლიტერატურა), ბ) რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე (სპეციალობა: რუსული ენა და ლიტერატურა), გ) ლოგიკისა და ფსიქოლოგიის განყოფილებაზე (სპეციალობა: ლოგიკა-ფსიქოლოგია), 6. უცხო ენების (სპეციალობა: ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენები), 7. ფიზკულტურის.

ინსტიტუტში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე, რომლებსაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება და წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: ა) საშუალო სკოლის დამთავრებისას ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოებული პირნი, ამასთან პირველ რიგში ჩაირიცხებიან ოქროს მედლით დაჯილდოებულნი, შემდეგ კი ვერცხლის მედლით დაჯილდოებულნი, ბ) სამამულო ომის მონაწილენი, რომელთაც საშუალო სკოლა (10 კლასი) დაამთავრეს ფრიადოსნის ატესტატით, მიუხედავად სკოლის დამთავრების წლისა, გ) ის პირნი, რომლებმაც დაამთავრეს ტექნიკუმი ან პედაგოგიური სასწავლებელი „ფრიადზე" და მოხვდნენ 5-პროცენტიან გამოშვებაში, დ) ის პირნი, რომლებმაც ექსტერნატის წესით ჩააბარეს გამოცდები სიმწიფის ატესტატზე და ყველა საგანში მიიღეს შეფასება „5".

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით. განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები ჩატარდება 1-დან 20 აგვისტომდე, ხოლო სტუდენტთა ჩარიცხვა იწარმოებს 21-დან 25 აგვისტომდე. უგამოცდოდ მისაღები პირების ჩარიცხვა იწარმოებს 21 ივნისიდან 31 ივლისამდე განცხადებათა შემოსვლის მიხედვით. შემომსვლელს შემოაქვს ინსტიტუტში (ქუთაისი, კიროვის ქუჩა № 55) დირექტორის სახელზე განცხადება შემდეგი საბუთების თანდართვით: ა) დაწვრილებითი ავტობიოგრაფია, ბ) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), გ) პასპორტი (უნდა წარმოადგინოს პირადად გამოცხადებისას), დ) სამი ფოტოსურათი, ზომა 3×4 სმ., გადაღებული უქუდოდ და დამოწმებული სახელმწიფო დაწესებულების მიერ, ე) ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედრო ვალდებულთათვის). განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს ფაკულტეტი და სპეციალობა, რომელზეც სურს შემსვლელს ჩარიცხვა.

მისაღებ გამოცდებზე დაშვებულთა სამედიცინო შემოწმება იწარმოებს ინსტიტუტის ამბულატორიაში. ცნობებისა და კონსულტაციების მიღება შესვლის შესახებ შეიძლება ინსტიტუტში, ყოველდღე 9-დან 4 საათამდე. მეცადინეობა ყველა კურსზე დაიწყება 1 სექტემბერს. ინსტიტუტში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო ბინით, სასადილოთი და მომარაგებით დადგენილი წესის მიხედვით.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი დოცენტი **ლ. ჭელიძე**

მეუღლე პელაგია, შვილები, ელიზბარ, ნიკო, ლიდა, სოლომონი, მარო, რძლები და შვილიშვილები იუწყებიან **გიორგი ხუციშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26 ივნისს გორში.

აკადემიკოსი გ. მ. ზუბაძე მეუღლით ეკატერინეთი, შვილებით მერით და გივით იუწყება **ხანდრო ახმეტელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-VI, 7 ს. გამოსვენება 25-VI, 6 ს. საჯაიას, 24.

მშობლები ოლია და მირიან, ბებია გოგუცა, ბიძა რატი, ბიცოლა ლენა, მამიდები ვარიკო, რუსუდან ოჯახებით იუწყებიან **დათუნა რატიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 24-VI, 6 ს. სანაპიროს, 2.

მეუღლე ნატაშა, შვილები ოლია, ნინო, სიძეები გიორგი მშველიძე, გივი ზედგინიძე იუწყებიან **ლავრენტი ნიკოლოზის-ძე ჯახაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-VI ბათუმში, გამოსვენება ჯაფარიძის, 38.

მეუღლე ნიტო, შვილები ნუნუ, კარლო, ტელმან, მშობლები სეფა, ფელიტა, ძმა ვლასი იუწყებიან **ვალიკო ხეფელ-ძე დვალიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 24-VI, ზოოტექნიკური, 28.

მეუღლე მარკოზ, შვილი ვალიკო მეუღლით, ძმები არტემ და პეტრე ოჯახებით, და ელენე, სიძე ლაზარე დავითაია იუწყებიან **ხონია ნადარეიშვილი-თოფურიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-VI განჯარში (აბაშის რაიონი).

შვილები მაშო, ლიზა, რძლები ნინო, მართა, შვილიშვილები ქეთო, არჩილ, ლევან, ნინო, ნანა ძიძიგურები იუწყებიან **მაკრინე დავითის ასულ ძიძიგურის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25-VI, 8 ს. გამოსვენება 26-VI, 6 ს. პლეხანოვის, 134.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-78-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 ᲣᲖ 02578